708
1999

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი თბილისი

მეზობარი

თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი ირაკლი ციციშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ანდრია აფაქიძე
მაია ასანიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე)
ვახტანგ ბერიძე
მალაქია დვალი
პარმენ ზაქარაია (მორიგე რედაქტორი)
მარიამ ლორთქიფანიძე
ოთარ ლორთქიფანიძე
დავით ლომიტაშვილი
გივი პაპალაშვილი
ვახტანგ შამილაძე

ჟურნალი დაარსდა 1964 წელს

გარეკანზე – თბილისი, ვარციხის ქ.№4, არქიტექტორი ს. კლდიაშვილი
ფოტო ნ. თათარაშვილის 1997 წ.

ინგლისური ტექსტი მოამზადა მარინე ყენიამ
დააკაბადონეს ილია კევლიშვილმა და დიმიტრი უჩანეიშვილმა

რედაქციის მისამართი: თბილისი, შავთელის ქ 5/7
ტელ: 98 87 94
93 36 18

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ფონდი
Georgian fund for protection of historical and cultural Monuments

ძეგლის მეგობარი

№1 (104)

37

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი
ჟურნალი გამოდის საზოგადოებრივ საწყისებზე

1999 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ უ ლ ო ც ა ვ თ !

ირაკლი ციციშვილი

ძ1.356

ერს ყოველ დროში ჰყავს საამაყო შვილი, ისეთი ადამიანი, რომლის ღვაწლით თავს მოიწონებს ყოველი თაობა. ჩვენს დროში ასეთ პიროვნებათაგანია ირაკლი ციციშვილი–სამამულო ომის გმირი, მეცნიერებათა დოქტორი და საზოგადო მოღვაწე.

მას შემდეგ რაც ირაკლი ალმოდებული ფრონტზე მოხვდა და თავისი გასაოცარი მოწმედებებით ქვეყანა განაცვიფრა, მისი სახელი არ ჩამოსულა პრესის ფურცლებიდან. ის სადაც არ უნდა ყოფილიყო, თავის საქმეს პირნათლად ასრულებდა.

ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ მას აქ სულ სხვა მიმართულებით მოუხდა მუშაობა. იგი შეუდგა ქართული არქიტექტურის საწყისების შესწავლას და შედეგმაც არ დააყოვნა, დღემდე მისი ნაშრომები ფუძემდებლური გახლავთ, ქართული ანტიკური პერიოდის არქიტექტურის ისტორია მის მიერაა გაკვალული. ირაკლიმ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ დაწერა "ქართული არქიტექტურის ისტორია" (1955 წ.). მნიშვნელოვანი სამუშაოები იქნა ჩატარებული ირაკლის მიერ აკად. ნ. ბერძენიშვილთან, რომლის ბატონი ნიკო, წლების განმავლობაში, "ისტორიული გეოგრაფიის" დისციპლინას აფუძნებდა. აკად. ა. აფაქიძესთან ერთად, ორმოცდაათ

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

წელზე მეტია რაც ივი არქიტექტურად სწავლობს ძველი იბერიის დედაქალაქ მცხეთას და მის ირგვლივ მდებარე ციხე-ქალაქებს. ეს მრავალმხრივ საინტერესო სამუშაო დღესაც მიმდინარეობს და ალბათ კიდევ დიდხანს გაგრძელდება.

ახალგაზრდობის ალბომის საქმიანობაში ირაკლი ადრიდანვე ჩაება. ფრონტიდან დაბრუნებისთანავე მას იწვევენ შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტსა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ივი აქ სათავეში ჩაუდგა არქიტექტურის ფაკულტეტს და მალე თავისი ხელი დააშნია. თაობები და თაობები ალიზარდნენ მისი ხელმძღვანელობით. დღესაც პედაგოგიური მოღვაწეობა მისი ცხოვრების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა.

უნდა ითქვას, რომ ირაკლის წლების განმავლობაში მალალი თანამდებობრივი მდგომარეობა ეკავა. მაგრამ მას ალმასვლისათვის ინიციატივა არასოდეს გამოუჩენია: ივი კი არ ეძებდა, არამედ მას ეძებდნენ. მაგრამ, რადგანაც მას პასუხისმგებლობის გრძნობა დიდი ჰქონდა, ამიტომ ყველა საქმეს გულით ეკიდებოდა. ამ მხრივ მისი საქმიანობიდან უნდა გამოიყოს საქართველოში მშენებლობის საკითხი საერთოდ და კერძოდ, თანამედროვე არქიტექტურის ჩამოყალიბება. მისი მოღვაწეობიდან ბოლო ორი ათეული წელიწადი დაეთმო ძველი ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების ალდგენა-შენარჩუნებისათვის მსახურებას, რომორც სახელმწიფოებრივ, ასევე საზოგადოებრივი ხასით. ამ პერიოდში ივი ერთდროულად განაგებს რომორც ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოს, ასევე თავმჯდომარეობს ძეგლთა დაცვის საზოგადოებასაც. ამ დარგში ირაკლის მოსყლია აშკარად შესამჩნევი გახდა რომორც მალალი დონის სპეციალისტის და სამშობლოს საგანძურის თაყვანისმცემლის.

მოგეხსენებათ, საქმეში მიზანდასახულობა, თუ რა ბევრს ნიშნავს. ეს კი მას ნამდვილად არ აკლია. განვლილი პერიოდის განმავლობაში ირაკლი ბევრ ახალ თაოსნობას ჩაუდგა სათავეში. მრავალი ძეგლი აღდგა, დაიბეჭდა სამეცნიერო-ლიტერატურა, მისი რედაქტორობით სისტემატურად გამოდის პოპულარული ჟურნალი "ძეგლის მეგობარი", მისი წესითაცაა ქართულ ძეგლთა მსოფლიო კულტურის საგანძურში შეტანის საქმეში და მრავალი სხვა.

ირაკლი ადამიანებთან ურთიერთობაშიც ყოველთვის მარტივ გზას ირჩევდა და კონტაქტშიც ადვილად შედიოდა. ასეთი ხასიათი მას და მის ირგვლივ მყოფთაც მუშაობას და ცხოვრებას უადვილებს.

მას მთავრობის მრავალი ჯილდო აქვს მიღებული. ბოლო დროს კი მისი მკერდი "ღირსების" ორდენმა ღირსეულად დაამშვენა.

ასე ამაყად, შემართულად, დიდხანს გვქონოს ძმაო ირაკლი!

პროფ. პ. ზაქარაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალ "ძეგლის მეგობრის" რედკოლეგია, მრჩეველთა საბჭო მთელი სულითა და გულით ვუერთდებით ბატ. ნაპოს მილოცვას.

ჩვენო ძვირფასო ბატონო ირაკლი!

მრავალი და მრავალი წარმატებებისთვის მიგვეღწიოს,

ყველა ჩვენი საქმიანობის სულისჩამდგმელო,

ქართული კულტურის ჭეშმარიტო მეცხოვნეო!

გიორგი გვინჩიძე
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციხისძირის ციხე-ქალაქის სახელწოდების წარმოშავლობისათვის

ციხისძირის ციხე-ქალაქის (ქობულეთის რ-ნი) სახელწოდების ვარიანტი "ციხე ძირი", ვფიქრობთ, დღემდე არ გამხდარა ჯეროვანი ყურადღების საგანი და არაა სათანადოდ შეფასებული-გააზრებული.

1962 წელს გამოცემულ ნაშრომში ნ. ხოშტარია გვაუწყებს, რომ 1907-1908 წლებში რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიური კომისიისა და ერმიტაჟის მიერ კერძო პირისაგან სახლის მშენებლობისას ნაპოვნი განძის შეძენასთან დაკავშირებულ მიმოწერაში განძის აღმოჩენის ადგილად "ციხისძირი"-ს ნაცვლად "ციხეში"-ა მოხსენიებული. შემდეგ მკვლევარი შენიშნავს:

"ადგილის სახელწოდების ("ციხისძირი"-ს.-გ.გ.) დამახინჯება რამდენიმე მიზეზით შეიძლება ავხსნათ: პირველი იმით, რომ XX საუკუნის დასაწყისში ციხისძირში ხლვისპირა ზოლში ადგილობრივი მოსახლეობა თითქმის არ ყოფილა და მშენებლობას, რომლის დროს შეიძლებოდა აღმოჩენილიყო აღნიშნული განძი, აწარმოებდა ჩამოსული ხალხი, რომელმაც არ იცოდა ადგილობრივი ენა და ამიტომ შეიძლება დაემახინჯებინათ ადგილის სახელი. ახლაც ადგილობრივი მოსახლეობის სოფელი ხლვიდან მოშორებით მდებარეობს და იქ კი, სადაც XX საუკუნის დასაწყისში კერძო აგარაკების მშენებლობა წარმოებდა-ამჟამად კურორტ ციხისძირის ზონაა. მეორე, ადგილის სახელის დამახინჯება შეიძლება იმით აიხსნებოდეს, რომ იმ დროს მიმოწერა ძირითადად ხელით წარმოებდა. . . . მესამე ის, რომ კოლექციის აღმოჩენის ადგილს მნიშვნელობა მაინცდამაინც არ ჰქონდა არც კოლექციის გამყიდველისათვის და არც ერმიტაჟისა და არქეოლოგიური კომისიისათვის; ამიტომაც ის მხოლოდ ერთხელ არის აღნიშნული ამ საქმის შესახებ არსებულ მთელ მიმოწერაში.

საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ მოხსენებით ბარათში ციხისძირის ბრინჯაოს

განძის აღმოჩენის შესახებ, რომელიც შედგენილია 1905 წ. იმ დროს ბათუმში მცხოვრების, ს. პეტერბურგის არქეოლოგიური ინსტიტუტის ნამდვილი წევრის ე. პახომოვის მიერ, ციხისძირის სახელი მოცემულია ზემოთ ნახსენები ფორმის ("ციხეძი"-ს-გ.გ.) მსგავსად "ციხე-ძირი"[1].

ამრიგად, ნ. ხოშტარიას თანახმად, "ციხე-ძირი" და "ციხეძი" "ციხისძირი"-ს დამახინჯებებია. მაგრამ მოტანილი შესაბამისი არგუმენტაცია აშკარად ნაკლებდამაჯერებელია. ხოლო სინამდვილეში რომ ვითარება ნ .ხოშტარიას მიერ დასახულის სრულიად საპირისპიროა და "ციხისძირი"-ა (ისევე როგორც "ციხეძი") წარმოქმნილი "ციხე ძირი"-ს შერყვნის შედეგად, ამაზე სარწმუნოდ მიანიშნებენ შემდეგი გარემოებანი:

I. ამჟამად ჩვენთვის საინტერესო პუნქტის სახელწოდება "ციხე ძირი" პირველად მოიხსენიება არა ე. პახომოვის მიერ XX საუკუნის დასაწყისში, 1905 წელს, რასაც გვამცნობს ნ. ხოშტარია, არამედ ბევრად უფრო ადრე-ის დაფიქსირებულია უკვე ჟ.ფ. გამბას XIX საუკუნის პირველ მესამედში, 1826 წელს გამოცემულ ატლასის რუკაზე (Tsikhedziri)[2] და მანამდე კი ი.ა. გიულდენშტედტის დასავლეთ საქართველოში მოგზაურობისას XVIII ს-ის მესამე მეოთხედში, 1772 წელს (ფორმით "ციხე ძირე"-Zichesire)[3], მაშინ როდესაც სახელწოდება "ციხისძირი" წერილობით წყაროებში XIX ს-მდე არ გვხვდება.

II. როგორც დადგენილია, "ციხე ძირი" ძველ წერილობით წყაროში დასავლეთ საქართველოს VIII ს-ის მოვლენათა აღწერისას მოხსენიებული ზანური (მეგრული) წარმომავლობის ტოპონიმ "ჯიხან ქვიჯი"-ს ზუსტი შესატყვისია, აშკარად მისი თარგმანია, და ნიშნავს ციხე ძირითადს, ციხე მთავარს, ციხე თავადს.[4] დროთა განმავლობაში სახელწოდება "ციხე ძირი"-ს შინაარსი გაუგებარი ხდებოდა, რასაც უნდა გამოეწვია "ციხე ძირი"-ს გააზრება "ციხისძირი"-დ და მისი დამკვიდრება ამჟამად ჩვენთვის საინტერესო პუნქტის საბოლოო სახელწოდებად.

III. დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთი უმთავრესი ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ციხე-ქალაქისათვის (ციხისძირისათვის) ზედმიწევნით შესაფერისი იქნებოდა სახელწოდება "ჯიხან ქვიჯი", ანუ "ციხე ძირი", ხოლო "ციხისძირი"--სრულიად შეუსაბამო.

IV. ამჟამად ჩვენთვის საინტერესო პუნქტის (ციხისძირის) სახელწოდება XVIII

ს-ში ბატონიშვილ ვახუშტის მიხედვით არის "ციხე ქავკეთისა". რომელიც თავისუფლად შეიძლება იყოს მიღებული "ჯიხან ქვივი"-დან (ე.ი. "ციხე-ძირიდან") ქართულად "ჯიხა"-ს თარგმნისა და "ქვივი"-ს უთარგმნელად დატოვების შემთხვევაში. მართლაც, ასე წარმოქმნილი "ციხე ქვივი" სრულიად ადვილი დასაშვებია შემდგომში ქცეულიყო "ციხე ქვივკეთისა"-დ. და საბოლოოდ "ციხე ქავკეთისა"-დ. რაც "ციხე ძირი"-ს ("ჯიხან ქვივი"-ს) "ციხისძირი"-ზე ადრეულობის სასარგებლოდ მეტყველებს.

ყოველივე ზემოთქმული, ვფიქრობთ, გვაძლევს უფლებას დავასკვნათ, რომ ციხე-ქალაქის სახელწოდება "ციხისძირი" მომდინარეობს "ციხე ძირი"-დან, რაც, თავის მხრივ, "ჯიხან ქვივი"-ს თარგმანია.

1. ნ. ხოშტარია, ციხისძირი ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში, თბილისი, 1962, გვ. 4, 5.
2. Gamba, Voyage dans la Russie meridionale...,Atlas, Paris, 1826, Carte de L'abasie...
3. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბილისი, 1962, გვ. 312, 314.
4. ი. ანთელავა, XI-XIV სს. ქართული საისტორიო წყაროები, თბილისი, 1988, გვ. 10-12.
5. ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბილისი, 1973, გვ. 792, სტრ. 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით ლომიტაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

ძვ. წ. VI–V სს. კერამიკულ ნაკეთობათა ერთი ჯგუფის შესწავლისათვის (საწურები ნოქალაქევის ნაქალაქარიდან)

ნოქალაქევის განათხარ მასალაში განსაკუთრებულ იშვიათობას წარმოადგენს სამზარეულო კერამიკის ერთი სახეობა, კერძოდ კი ნახვრეტებიანი ჭურჭელი ე.წ. საწურები. როგორც სამეცნიერო ლიტერატურიდან ირკვევა, რაოდენობრივი თვალსაზრისით, იგივე ვითარებაა კოლხეთის სხვა სინქრონულ ძეგლებზეც.



სურ. 1 საწური. ძვ. წ. VI–V სს.

ნოქალაქევში ნახვრეტებიანი ჭურჭლის სულ თორმეტი ნატეხია გამოვლენილი. მათი აღმოჩენის ტოპოგრაფია ნაქალაქარის ქვედა ტერასას მოიცავს, სადაც ძვ. წ. VIII და III–I სს-ის არქეოლოგიური ძეგლების განსაკუთრებული კონცენტრაცია

შეინიშნება. ჩვენს მიერ მოპოვებული მასალის ერთი ნაწილი კედლებით, ხოლო ნაწილი პირ-კედლის ნატეხებითაა წარმოდგენილი. სავარაუდოა, რომ ჭურჭელი ცილინდრული მოყვანილობის უნდა ყოფილიყო /ნატეხთა ფრაგმენტულობის გამო მათი ფორმა ვერ დგინდება/. ნახვრეტებიანი ჭურჭლის ფორმაზე წარმოდგენას გვიქმნის კოლხეთის სხვა, სინქრონულ ძეგლებზე აღმოჩენილი მთელი ეგზემპლარები. /1.56/ ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს "სიმაგრეზე" მოპოვებული აღდგენილი ეგზემპლარი. იგი სამ, ქიმისებურ ფეხზე შემდგარ, ბრტყელძირიან, სადა სწორზედაპირიან ნაკეთობას წარმოადგენს, რომელსაც ძირზეც და გვერდებზეც სიმეტრიული ნახვრეტები გააჩნია. ფუნქციონალურად მას ქვლის დამზადება-დაწურვასთან აკავშირებენ. ცნობილია, რომ სამფეხა ჭურჭელი საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით კი აღმოსავლეთ საქართველოში. ჯერ კიდევ 50-იანი წლების დასაწყისში "ციხურას" მიდამოებში გამოვლენილი იქნა შავი ფერის თიხისაგან დამზადებული კერამიკული ნაკეთობა /2.172/ რომელიც, სავარაუდოდ, მაღალი, ძირისკენ დავიწროებული, სამფეხიანი საწური ჭურჭელი უნდა ყოფილიყო. ჭურჭლის ფორმაზე ვარაუდი საბოლოოდ დაადასტურა "სიმაგრის" ნამოსახლარზე აღმოჩენილმა ერთადერთმა მთელმა ეგზემპლარმა.

სამეცნიერო ლიტერატურაში ნახვრეტებიანი ჭურჭლის ფუნქციონალური დანიშნულების თაობაზე ორი სრულიად განსხვავებული მოსაზრებაა გამოთქმული. მკვლევართა ერთი ნაწილი ფორმისაგან დამოუკიდებლად,* ნახვრეტებიან ჭურჭელს სამეურნეო დანიშნულების ნაკეთობად მიიჩნევს /3.87/ და მათ რძისა და რძის პროდუქტების გადასამუშავებელ ჭურჭლად თვლის (3.87; 4.31; 1.56; 2.172). მკვლევართა მეორე ნაწილი კი არ გამორიცხავს მათ საკულტო დანიშნულებასაც /5.35; 6.127/. საწურისმაგვარი, ნახვრეტებიანი ჭურჭლის ფრაგმენტი შესაძლოა სასაკმევლის (საკულტო დანიშნულების და არა სამეურნეო) ნაწილი იყოს და შესაბამისად სურნელოვანი ბალახის დასაწვავად გამოიყენებოდა /5.35/.

ნახვრეტებიანი ჭურჭლის გენეზისის შესწავლამ ცხადყო, რომ ასეთი ტიპის ჭურჭლის დამზადებას, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ საკმაოდ ადრეულ ხანაში ეძებნება საფუძველი. ამ თვალსაზრისით ძალზედ საინტერესოა ნახვრეტებიანი ჭურჭლების აღმოჩენის ფაქტები ქ. თბილისში, სადაც

ისინი ენეოლითური ხანით არიან დათარიღებული (7). თიხისგან დამზადებული დახვრეტილი ჭურჭელი ერთ შემთხვევაში აღწერილია. როგორც ცნობილია, ზოგიერთ მათგანს კი. რომელთაც ძირიც და კედლებიც დახვრეტილი ჰქონდა ცხოველის საწირავად თვლიდნენ. პროფ. გ. ნიორაძე იმ ჭურჭლებს. რომელთაც ძირიც და ტანიც დახვრეტილი ჰქონდა საცრებად მიიჩნევდა /7/.

განსხვავებული შეხედულების თანახმად ნახვრეტებიანი ჭურჭლები საკულტო დანიშნულების ნაკეთობანია და განკუთვნილი იყო გუნდრუკის საკმევლად /8.26-27/. რომელიც საკმაოდ ადრეულ ხანაში ჩნდება ჯერ ძველ აღმოსავლეთში. შემდეგ კი ძველ კლასიკურ ქვეყნებში. ასეთ ჭურჭელს დიდ როლს ანიჭებდნენ. როგორც საკულტო დანიშნულების ნაკეთობას. მათთვის დამახასიათებელი იყო ტანჩა ფორმები. გააჩნდათ ხან ფიალის. ხან კი ჭოთნის ფორმა /8.27/. ძველ ეგვიპტელთა ტაძრების რელიეფებზე თითქმის ყველგანაა წარმოდგენილი სიუჟეტი სადაც ფარაონები დაბალი ჭოთნის მაგვარ ნაკეთობით ღმერთებს გუნდრუკს უკმევენ /9.32/.

სურ 2. ძველეგვიპტური რელიეფი

ხშირად გუნდრუკის კმევა ფიქსირდება სამკურნალო ტექსტებში. როგორც სამკურნალო საშუალება. გუნდრუკის კმევა ფართოდ იყო გავრცელებული მიცვალებულთა დაკრძალვის რიტუალის შესრულებისას. ნოქალაქევის ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე აღმოჩენილი ნახვრეტებიანი ჭურჭლების ნატეხების დიდი ნაწილი მოწითალო თიხის ნაკეთობანია. ნატეხთა უმრავლესობას ემჩნევა ზოგან ძლიერი

ცქცხლის. ზოგან კი შებოლვის კვალი.

კედლებზე დატანილი ნახვრეტები არაპროპორციულადაა განაგებული. ნახვრეტები გამოწვამდე ზერელედ გაუკეთებიათ. გახვრეტის პროცესი, როგორც ჩანს უწარმოებიათ გარედან შიგნით ისე, რომ გახვრეტის შემდგომ შიდა ზედაპირზე შვერილები აღარც კი მოუსწორებიათ. შიდა ზედაპირი იმდენად უხეშია, რომ მის სამეურნეო დანიშნულებაზე ვარაუდიც შეუძლებელია. როგორც ჩანს მსგავს ნაკეთობას, იმ დროისთვის უკვე ჩამოყალიბებული ფუნქციიდან გამომდინარე, შიდა მხარის მოსწორება არც ესაჭიროებოდა. თუმცა კი ამთავითვე შეგნიშნავთ, რომ ნოქალაქევის ნაქალაქარიდან მომდინარე ანალოგიურ მონაპოვარში გვაქვს ეგზემპლარები, რომელთა როგორც შიდა, ისე გარე მხარე შესანიშნავადაა მოსწორებული. ეს ფაქტები გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ ნოქალაქევში გამოვლენილი ნახვრეტებიანი ჭურჭლის ერთი ნაწილი აშკარად საკულტო დანიშნულებისაა. შესაბამისად მათი მიკუთვნება სამეურნეო ან სამზარეულო დანიშნულების ნაკეთობათა ჯგუფისათვის უმართებულო იქნებოდა, თუმცა მათ პარალელურად არსებობს აშკარად სამეურნეო ფუნქციით გამორჩეული ნახვრეტებიანი კერამიკული ჭურჭელიც.

ნოქალაქევის პრეცენდენტი, ვფიქრობთ, აშკარად მიგვანიშნებს, რომ ნახვრეტებიანი ჭურჭლების ფუნქციის განსაზღვრისას განსაკუთრებული ყურადღება პირველყოვლისა მათ ტექნოლოგიურ მახასიათებლებს უნდა მიექცეს, შემდგომ კი ცხადია ფორმას. ამდენად, ყოველი ნახვრეტებიანი ჭურჭლის მხოლოდ სამეურნეო ფუნქციაზე ყურადღების გამახვილება გამართლებული არ იქნება.

1. თ. მიქელაძე. არქეოლოგიური კვლევა-ძიება რიონის ქვემო წელზე. თბ. 1978 წ.
2. ტ. ჩუბინაშვილი. არქეოლოგიური ძეგლები "ციხურას" მიდამოებიდან. სსმმ ტ. XVII-ნ. თბ., 1953 წ.

- მაგ. კოლხეთში გამოვლენილი სამფეხა ნახვრეტებიანი ჭურჭლებისაგან ფორმით აშკარად განსხვავებულ ნახვრეტებიან ჭურჭელს უსატოვოს სამაროვნიდან ახსენებს საწურებად განიხილავენ /იხ. В.Г. Збенович.../

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. В.Г. Збенович. Позднетрипольские племена северного Причерноморья. К., 1974 г.
4. ოთ. ლორთქიფანიძე, ელ. გიგოლაშვილი, დ. კაჭარავა, ვ. ლიჩელი, მ. ფირცხალავა, ა. ჭყონია, ძვ. წ. VI–IV სს. კოლხური კერამიკა ვანიდან, ვანი V., თბ., 1981 წ.
5. გ. გრიგოლია, გ. ფხაკაძე, მ. ბარამიძე, გ. ლორთქიფანიძე, დასავლეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წლის მუშაობის შედეგები, მსკა ტ. V, თბ., 1973 წ.
6. В.Ф. Гайдукевич. Илурат. Боспорские города. Т. II М.-Л. 1958 г.
7. ალნიშნული ნახვრეტებიანი ჭურჭელი შეისწავლა და გამოაქვეყნა გ. ნიორაძემ, იხ. გ. ნიორაძე-"დიდუბის ნეოლითური ნაშთები" /დაცულია მის პირად არქივში/
8. დ. ჭორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, ტ. I, თბ., 1955 წ.
9. Reallexikon der Vorgeschichte von Max Ebbert. ტ. XI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბესიკ ლორთქიფანიძე
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

ნოქალაქევის ეკლესიები და საეპისკოპოსო კათედრის არსებობის საკითხისათვის არქეოლოგიაში.

ნოქალაქევში გამოვლენილია ადრე შუა საუკუნეებით დათარიღებული ექვსი ეკლესია. ოთხი მათგანი ქალაქის ცენტრალურ უბანშია განლაგებული, ერთი– ფერდობზეა და ერთიც–ქალაქის ციტადელშია. ნოქალაქევის საკულტო ნაგებობები საკმაოდ კარგადაა შესწავლილი და შესაბამისად დათარიღებული[1]. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ნოქალაქევის ჭედა ტერასაზე გამოვლენილი დარბაზული ეკლესია.

ნახ. 1 "ორმოცმოწამეთა" ეკლესია

რომლის მხოლოდ აფსიდალაა შემორჩენილი. პირველგამთხრელების მიერ იგი IV საუკუნითაა დათარიღებული. ეს ეკლესია, როგორც ჩანს, მალევე დანგრეულა და მასზე V ს–ის შუა ხანებში საკმაოდ დიდი ზომის სამნავიანი ბაზილიკა

დაუშენებიათ[2]. ეს ბაზილიკაც მალევე დანგრეულა[3]. მის ადგილას აუშენებიათ უფრო მცირე ზომის ბაზილიკა, რომელიც "ორმოცმოწამეთა" ეკლესიის სახელითაა ცნობილი და გადაკეთებული სახითაა მოღწეული ჩვენამდე (ის ამჟამად წარმოადგენს გუმბათოვან ნაგებობას–სურ. 1)[4].

ალნიშნული ეკლესიების გარდა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ გამოვლენილია კიდევ სამი ეკლესია. სამივე დარბაზული ტიპისაა. ერთი მათგანი ნოქალაქევის ქვედა ტერასის ცენტრალური უბნის აღმოსავლეთით მდებარეობს და V ს–ითაა დათარიღებული[5]. მეორე–ჩართულია ფერდობზე ქალაქის აღმოსავლეთისა და დასავლეთის გალავნის ხაზების შეერთების ადგილას. თავდაპირველად, გათხრების პროცესში, ექსპედიციის წევრებმა იგი ორი გალავნის შეერთების ადგილზე მდგარ კოშკად მიიჩნიეს. მაგრამ გათხრების დასრულებისას საბოლოოდ გამოიკვეთა, რომ საქმე გვქონდა დარბაზულ ეკლესიასთან. პ. ზაქარაია და თ. კაპანაძე აღნიშნულ ეკლესიას ადრეულად მიიჩნევენ, თუმცა თარიღის დაკონკრეტებისგან თავს იკავებენ[6]. ჩვენ ვიგარაუდებთ, რომ შესაძლოა ეს ეკლესია ქალაქის თავდაპირველი გალავნის თანადროული იყო და შესაბამისად IV ს–ის I ნახევრით ან შუა ხანებით უნდა დათარიღდეს[7].

ნოქალაქევის მეექვსე ეკლესია მდებარეობს ქალაქის ციტადელის ცენტრალურ ნაწილში. აქ აგებულია საშუალო ზომის დარბაზული ეკლესია და იგი "მისარონის" სახელითაა ცნობილი. იგი V ს–ის ბოლო VI საუკუნის დასაწყისითაა დათარიღებული (სურ. 2)[8].

ნოქალაქევში ეკლესიების ასეთმა სიმრავლემ ნლიომოურს აქ საეპისკოპოსო კათედრის არსებობა ავარაუდებინა[9]. თუმცა იგი არ გამორიცხავდა საეკლესიო ცენტრის სხვაგან (ფაზისში) არსებობასაც[10].

ამ საკითხის გარკვევისას დიდ დახმარებას გვიწევენ VII ს–ის ბიზანტიის საეკლესიო ცენტრების ნუსხები, ე.წ. "ეკთეზისები". აქ კონსტანტინოპოლის პატრიარქისადმი დაქვემდებარებულ ეპარქიათა შორის იხსენიება ლაზეთის სამიტროპოლიტო–ცენტრით ფაზისში. მას ემორჩილებოდნენ როდოპოლისის, საესინის, პეტრას და ძიგანენის ეპისკოპოსები[11]. ამ ნუსხებში არქეოპოლისის არხსენებას ყურადღება მიაქცია ნ. ბერძენიშვილმა, რომელმაც დაუშვა ორი ვარიანტი–ან ლაზიკის სამიტროპოლიტო არქეოპოლისის დაცემის შემდგომ შეიქმნა, რაც წარმოუდგენელია

VIII ს–ის 30–იან წლებამდე. რის გამოც ეს შესაძლებლობა იხსნება ან კიდევ აბისენონის (ანუ საისენის) საეპისკოპოსოში აბაშა იგულისხმება და არქეოლოგიასაც მოიცავს[12] ეს მეორე ვარაუდიც საკმაოდ საეჭვოა, რადგან "აბისენონი" IX ს–ის ერთ ეკთეზისშია ნახსენები და ს. ყაუხჩიშვილი მას "საესენონის" დამახინჯებულ ფორმად მიიჩნევს[13]



სურ. 2 "მისარონის" ეკლესია

მეტად საყურადღებო მოსაზრება გამოთქვა ვ. ლეჭხინაძემ. მან საეპისკოპოსო ცენტრის აქ არარსებობა ახსნა იმით, რომ მეფეს არ სურდა გვერდით ჰყოლოდა კონსტანტინოპოლის პატრიარქის ანუ ბიზანტიისადმი დაქვემდებარებული ეპისკოპოსი, რომელიც ვლაშუშის ან ზედამხედველის ფუნქციას შეასრულებდა[14]

ჩვენი აზრით, მართალია ნოქალაქევში რამოდენიმე ეკლესიაა გამოვლენილი, რაც ძლიერი საეკლესიო ცენტრის არსებობაზე მიუთითებს, მაგრამ მაინც უნდა ვუნდოთ "ეკთეზისებს". ჩვენ გამოვდივართ იქიდან, რომ აქ მოხსენებულ სხვა ცენტრებშიც სიძლიერის ხანა IV–VI სს–ზე მოდის. მაგალითად, ვარდციხეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

არქეოლოგიური მონაპოვარი და წერილობითი წყაროებიც ამ პერიოდში ცხოვრების აყვავებაზე მიუთითებენ[15]. პეტრას სიძლიერის ხანაც VI ს-ზე მოდის; გუჯდავა ზილანეოსის ნივთიერი მასალაც უმთავრესად IV-V სს-ებისაა[16]. თავად ფაზისის სამიტროპოლიტო ცენტრად გადაქცევა იმ დროს უნდა მომხდარიყო, როდესაც იგი ძლიერი იყო, ასეთად კი იგი II-V სს-ში ჩანს. კერძოდ, არიანეს ცნობით, ფაზისი II ს-ისათვის ძლიერ გამაგრებული ქალაქი ყოფილა: თიხის კედლები და ხის კოშკები აგურის კედლებით შეუცვლიათ და გარშემო ორმაგი თხრილიც შემოუვლიათ[17]. III ს-ის 70-იან წლებში გუთებმა ვერ მოახერხეს ფაზისის აღება[18]. VI ს-ის შუა ხანებისათვის კი, ქალაქი საკმაოდ დამცრობილი ჩანს. აგათია სქოლასტიკოსის ცნობით, ქალაქის კედლები კვლავ ხის ყოფილა და დროთა ვითარების გამო საკმაოდ დაზიანებულიც[19]. როგორც ჩანს, ამ დროს ფაზისს უწინდელი მნიშვნელობა დაკარგული ჰქონდა. ჩვენ ვიზიარებთ ნ. ლომოურის მოსაზრებას, რომ არქეოპოლისის აგებამდე სწორედ ფაზისი წარმოადგენდა ლაზთა სამეფოს დედაქალაქს და როგორც ჩანს სამიტროპოლიტო ცენტრის აქ დაარსებაც უფრო რეალურია.

რატომ არ იყო არქეოპოლისში საეპისკოპოსო კათედრა? პირველ რიგში გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ როდესაც ქალაქის მშენებლობა მიმდინარეობდა, ქრისტიანობა უკვე გავრცელებული იყო და შესაძლოა "ეკთეზისებში" ნახსენები სისტემა უკვე არსებობდა. ასევე, ჩვენ ვეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ გაერთიანებული ეგრისის მეფეებს დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება სურდათ და ბიზანტიისადმი დაქვემდებარებული მიტროპოლიტისგან შორს ეჭირათ თავი. ბიზანტია-ეგრისის კონფრონტაციის დროს ფაზისის სამიტროპოლიტო ბერძენ ჯაშუშთა თავშესაფარად გადაიქცეოდა ხოლმე. ასეთი ვითარება კარგად ჩანს VIII ს-ის I ნახევარში, როდესაც ლაზიკის მმართველი არაბთა მხარეზე გადადის, ლეონ ისავრიელი სწორედ ფაზისის გავლით მიემართება მოკავშირე ალანებისაკენ და იქ მათთვის განკუთვნილ ფულსაც კი ტოვებს[20]. ამას უნდა დავუმატოთ ის გარემოებაც, რომ ამ პერიოდისათვის იზრდება ეპისკოპოსების გავლენა და დროდადრო ოფიციალურ ხელისუფლებას არც კი ემორჩილებიან. მოქალაქეები, ხშირად მათ მიმართავდნენ დახმარებისათვის, რადგან ისინი მათი სულიერი მამები და უმდიდრესი ადამიანები იყვნენ[21]. რა თქმა უნდა ეგრისის მეფეებს არ აწყობდათ ამგვარი მდგომარეობა და ცდილობდნენ წინააღმდეგობის გაწევას. ყველაფერი ამის შემდგომ

ბუნებრივი შედეგი იქნებოდა, რომ ადმინისტრაციული და საეკლესიო ცენტრები სხვადასხვა ადგილას მდებარეობდნენ, ე.ი. ფაქტიურად იგივე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, რაც V ს-ში ქართლის სამეფოშიც ხდება /თუმც გამონაკლისი მიზეზებიც შესაძლოა სხვადასხვა იყო/.

1. პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, ციხეგოჯი-არქეოპოლისი-ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება, 1991, გვ. 165-228
2. იქვე, გვ. 165-178
3. ბ. ლორთქიფანიძე, ომიანობა V ს-ის შუახანების ეგრისში და ნოქალაქევის ბაზილიკა, ძეგლის მეგობარი, 3(102), 1998, გვ. 44-46.
4. პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 178-198.
5. იქვე, გვ. 216-217.
6. იქვე, გვ. 218-219.
7. ბ. ლორთქიფანიძე, ქალაქის გარეგნული სახე, ნოქალაქევი-არქეოპოლისი, III, 1993, გვ. 179-180.
8. პ. ზაქარაია, თ. კაპანაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 219-228.
9. ნ. ლომოური, ნოქალაქევის გათხრების მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის, ნოქალაქევი-არქეოპოლისი, II, 1987, გვ. 40.
10. ნ. ლომოური, ნოქალაქევი-არქეოპოლისი-ციხეგოჯი (ისტ. ნარკვევი), ნოქალაქევი-არქეოპოლისი, I, 1981, გვ. 32, 43.
11. ბასილი სოფენელი, გეორგიკა, ტ. IV, ნაკვ. II, თბ., 1952, გვ. 184.
12. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VIII, 1975, გვ. 517-518.
13. ბასილი სოფენელი, გვ. 188.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

14. В. А. Леквинадзе. Базилика Археополиса. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე. XXX-ბ. 1974. გვ. 119.

15. ვ. ჯაფარიძე. ვარდციხის ნაქალაქარი. 1989. გვ. 143-144.

16. მ. ზამთარაძე. გუდავის არქეოლოგიური მონაპოვარი. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე. XXXIV. 1979. გვ. 64-78.

17. არიანე. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. V. 1983. გვ. 157.

18. ნ. ლომოური. ეგრისის სამეფოს ისტორია. 1968. გვ. 40-43; Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии. 1959. გვ. 379-380.

19. აგათია სქოლასტიკოსი. გეორგიკა. III. 1936. გვ. 101.

20. თეოფანე ჟამთაალმწერელი. გეორგიკა. IV. ნაკვ. I. 1941. გვ. 107.

21. О. Г. Большаков. Средневековый город Ближнего Востока. 1984. გვ. 19.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალერიან ზუხბაია

აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

რა ქვებით შენდებოდა საქართველო

მატერიალური კულტურის ისტორიაში ადამიანის ჩანაფიქრისა და ტექნიკური აზრის გადმოსაცემად ერთ-ერთი ძირითადი საშუალება ქვა იყო. ქვა იყო შრომის პირველი იარაღი და მოგერიების პირველი საშუალება, პირველი საშენი მასალაც და.... სახატავი რვეულიც. ამ შემთხვევაში ქვა, უფრო ზუსტად ქანი გვაინტერესებს, როგორც საშენი მასალა, რომლის გამოყენება პალეოლითში დაიწყო და ამჟამადაც ქვაზე უკეთესი მასალა ვერ მოუძებნიათ. საშენად გამოყენებული ქვა უნდა იყოს გამძლე, ძნელად იფიტებოდეს, ადვილად მუშავდებოდეს და იყოს ლამაზი.

საქართველოს საშენი-დეკორატიული ქვების მარაგითა და მრავალფეროვნებით მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია: აქ არის სხვადასხვა ფერის მკვრივი მარმარილო, სარკესავით გაკრიალების თვისების მქონე ტეშენიტები, მუქი ნაცრისფერი ბაზალტი, ნაცრისფერი, მოწითალო, იისფერი ანდეზიტი, ოქროსფერი, ლამაზნაყშებიანი ტუფი,თვალისათვის საამო მწვანე ფერის ალბიტოფირები, დაციტები, ნაირფერი კირქვები და ქვიშაქვები, ფიქლები და ტრავერტინები, მკვრივი ქანები-გრანიტები, დიონიტები, გაბრო, დიაბაზები და სხვ.

პალეოლითში, სადაც კი ამის შესაძლებლობა იყო ადამიანი მღვიმეში ცხოვრობდა. მღვიმეში მცხოვრებმა ადამიანმა, მხეცების თავდასხმისაგან თავდასაცავად დაიწყო მღვიმის შესასვლელის ამოშენება დიდი ზომის ქვის ლოდებით. მღვიმეები მეტწილად კირქვებთანაა დაკავშირებული. მღვიმეთა შესასვლელის ამოსავსებად მეტწილად კირქვის ლოდები უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

ნეოლითური ნასახლარები მეტწილად დასავლეთ საქართველოშია (ქობულეთი, ხუცებანი, ანასეული, გურიანთა, მამათი, ნაგომარი, იანეული, თეთრამიწა, ურთა, ოდიში, საგვარჯილე, საკაო, ჩხორთოლი, აგუბედია, კისტრიკი და სხვა). ამ დროიდან ადამიანი თანდათან გადადის ბინადარ ცხოვრებაზე, ჩნდება სახლები, დასახლებული პუნქტები. ნაგებობისათვის იყენებდნენ ბუნებრივ ბრტყელქვებს: კირქვები, ქვიშაქვები, ტუფი და სხვ.

ენეოლითში გვხვდება ქვის საძირკველზე ან უშუალოდ ქვით ნაგები სახლები (თეთრიწყარო, არუხლო, იმირი, ოზნი, შულავერი, წოფი, ბეშთაშენი, აბელია, ნაცარგორა ცხინვალთან და სხვა). საშენად ძირითადად გამოყენებული იყო- ბაზალტი, ანდეზიტი, ტუფი და სხვ.

ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანაში ადამიანი საბოლოოდ გადადის ბინადარ ცხოვრებაზე. ადრე ბრინჯაოს ხანის ნასოფლარებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ამირანის გორა ახალციხის ჩრდილო-აღმოსავლეთითი 2,5 კმ-ზე. ნასოფლარი ტუფოგენური ქვიშაქვების გავრცელების ზონაშია და ბუნებრივია საშენად ეს მასალაა გამოყენებული. გათხრის შედეგად აღმოჩნდა 10 ტერასაზე 180-ზე მეტი ნაგებობა, კვადრატული ან სწორკუთხოვანი ერთოთახიანი 9-50 $მ^2$ ფართობის სახლები. მდ. ფოლადაურის ხეობაში სოფელ შორის ტერიტორიაზე გათხრების დროს აღმოჩნდა გვიანი ბრინჯაოს ხანის ნაგებობათა ნაშთები. ნაგებობათათვის გამოყენებულია თლილი ქვა-დაციტი, შენობა ცალ-ცალკე ოთახებადაა დატიხრული. ამ პერიოდის ნაგებობები ცნობილია ნაცარგორადან, ხოვლე გორადან, ყათლანის ხევიდან - უფლისციხესთან.

ამ დროისაა მეგალითები-დაუმუშავებელი ქვების მშრალი წყობის ნაგებობანი (კარკნალები, ციკლოპური ზღუდეები, სიმაგრეები, კოშკები, დარანები, დოლმენები, კრომლეხები, ნაქალაქარები), მონოლითები - ერთი მთლიანი დიდი ზომის ქვის სვეტები (მენჰირები, ვეშაპოიდები, ქვაკაცები და სხვ.).

ადრე ბრინჯაოს ხანაში მეცხოველეობის განვითარებამ საძოვრების გაფართოება მოითხოვა, საძოვრებისათვის ბრძოლას კი გვარებს, ტომებს შორის შეტაკებანი და ომები მოყვა. ყოველივე ამან გამოიწვია დასახლებული პუნქტების თავდაცვისათვის ქვის დიდი ლოდებით გამაგრება, წარმოიშვა ე.წ. ციკლოპური

ზღუდეები, ციხესიმაგრეები და ციკლოპური ქალაქები. დაუმუშავებელი, ბუნებრივი ბრტყელი დიდი ზომის ლოდების ერთმანეთზე დალაგებით შეიქმნა ციკლოპური წყობა (ტერმინი ციკლოპური დაკავშირებულია ბერძნული მითოლოგიის ცალთვალა გოლიათებთან. ძველად საქართველოში ციკლოპურ ძეგლებს როსტომულ ნაგებობებსაც უწოდებდნენ, ხალხური რწმენით მხოლოდ ზღაპრულ როსტომს შეეძლო აეწია ასეთი დიდი ლოდები).



ხეკსურეთი. სოფ. შატილი ნახ. ლ. სუმბაძისა

ვახუშტი კარკალს-კარკნალს აღმოსავლეთ საქართველოში სამ ადგილას ასახელებს: შაენაბადა-შაორსა და თაკუეთილს შუა, დურნუკი და ცხინვალთან საბაწმინდა. კარკნალები ცნობილია აბულსა და ბეშთაშენში „ჩხიკუთის სამხრით არს ეკლესია სამება, წმიდის გიორგისა, მაღალს გორასა ზედა შენი, არამედ საკურველი რამეთუ დიდროვანითა ლოდითა შენი, რომელი კაცთაგან არა შესაძლებელ არს მისი ქმნა, რომელი აელია ზღუდეთა ძუელად იწოდა გმირთ-ნაკუეთი და იყო ციხე, ეკლესია“

(ვახუშტი). მწერალი უიარაღო (კ.თათარაშვილი) მიუთითებს, რომ გოხნარის მიდამოებს ქართველები „ლოდიანს“ ეძახიანო. აქ ბევრია ციკლოპური ნაგებობანი ბაზალტისა და ანდეზიტისაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციკლოპური ნაციხარ-ნაქალაქევები: ბედენი, ჩხიკეთა, წოფი, სამშვილდე, ნარდევანი, სანთას ქოროღლი, ავრანდუ, ფარავნის ასფასა, ციხისჯვარი, წყურვალეთი, ტაშბაში, ჩოლაყი, გუმბათი, ფოკა, ყაურმა, ბულდაშენი და სხვ. მთლიანად ბაზალიტით, ან ანდეზიტ-ბაზალტითაა ნაგები. მდინარე ლიახვის სათავესთან-აშტინსუსთან ცნობილი ციხე-ქალაქი („ზილდ“) ნაგებია მოწითალო ფერის ანდეზიტის ლოდებით. XIX საუკუნის ცნობილ მოღვაწეს ივანე როსტომაშვილს აღწერილი აქვს მცირე აბულის სამხრეთ ფერდობზე ბაზალტის ლოდებისაგან აგებული ნაციხარ-ნაქალაქარი.

აფხაზეთში მეგალითებიდან ცნობილია კირქვით ნაგები დოლმენები (ეშერა, ოთხარა).

ჩვენი წინაპრები ქვას არა მარტო საშენ მასალად იყენებდნენ, ისინი თვით „ქვაში“ - მღვიმეში ან გამოქვაბულში ბინადრობდნენ. იქ იყო მათი ციხე-სიმაგრეც და სამლოცველოც.

ხშირმა ომებმა, თავდასხმათა მუდმივმა საშიშროებამ და თან ცადაზიდულმა ფრიალო კლდეებმა გადააწყვეტინა ჩვენს წინაპრებს კლდეები თავშესაფრად გამოეყენებინა, გამოეკვეთა „ქუაბნი მიუვალნი“.

ქართველ ხალხს კლდეში კვეთის დიდი გამოცდილება აქვს. ანტიკური დროიდან იკვეთებოდა კლდეებში ქვაბ-საცხოვრისები. საფუძველი ეყრებოდა ქართული სამშენებლო ხელოვნების ახალ დარგს - ქვაბთა ხუროთმოძღვრებას. ყველასათვის კარგადაა ცნობილი კლდეში (ქვიშაქვაში) ნაკვეთი ქალაქი უფლისციხე. შუა საუკუნეებიდან ცნობილია კლდეში გამოკვეთილი გლეხის საცხოვრებელი სახლები, დარბაზული სახლები, სამონასტრო კომპლექსები და ბოლოს ვარძია - კლდეში (ტუფი) კვეთის ხელოვნების გვირგვინი. ვახუშტი ბაგრატიონი არა ერთხელ ასახელებს კლდეში გამოკვეთილ ქვაბებს: წალკასთან ახლოს: „თეზის ხრამსა შინა, არს მონასტერი კლდესა შინა წმიდის აბიბოს ნეკრესელის ქმნული“, „გვეძინეთის

დასავლეთით მოერთვის ხევი აბუხალოსი აქა არიან ქუაბნი გამოკვეთილნი მაღალს კლდესა შინა, ეკლესია კეთილი და კაცთა შეუალი სიმაგრით", „ბჟინეევის ხევს ზეით ყვირილის ჩრდილოეთ კერძ კიდეზედ არს მღიმე კლდე დიდი გამოკუეთილი და მას შინა მონასტერი უგუმბათი, წითლის ბრწყინვალე ქვით შენი", „რიონის დასავლეთით მთის ძირს არს ხომლის კლდე ფრიად მაღალი. ამ კლდეში არს ქუაბი გამოკვეთილი მტრისაგან შეუალი, მეფეთა საგანძურთ სადები", „მყინვარის კლდეს შინა არიან ქუაბნი გამოკუეთილნი ფრიად მაღალსა და უწოდებენ ბეთლემს გარნა საჭიროდ ასავალი არს, რამეთუ არს ჴაჭვი რკინისა, გარდმოკიდებული ქუაბიდან და მით აღვლენ." 1948 წელს მთასვლელი ქალის ალექსანდრა ჴაფარიძის ხელმძღვანელობით ექსპედიცია ავიდა ამ გამოქვაბულში. თმოგვის მიდამოებში ვულკანურ ტუფებში გამოკვეთილია ვანის (VIII-XVIII სს.) 14-15 სართულად მრავალი ქვაბსაცხოვრისი და ეკლესია ქვაბები, მახლობლად ბაზალტსა და ტუფშია გამოკვეთილი „მარგასტანის ქვაბები", „ჴოლდას ქვაბები", სხალტისა ქედზე გამოკვეთილია მრავალსართულიანი შიო მღვიმე, რამდენიმე ასეული სათავსოთი.

შუა საუკუნეების ქვაბთა ხუროთმოძღვრების ნიმუშია მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლი დავით გარეჯის მონასტერი, რომელიც ოცი კილომეტრის მანძილზე ნეოგენურ ქვიშაქვებში გამოკვეთილ მრავალ ეკლესია-მონასტერისგან შემდგარი კომპლექსია, გვხვდება ციხე-ქვაბები და სახიზრები.

ცალკე უნდა აღინიშნოს მესხეთ-ჯავახეთში არსებული შუა საუკუნეების მიწისქვეშა ნაგებობანი-დარანები, თმოგვის მიდამოებში დღემდე მოაღწიეს დარანებმა (ქორსატეველა, დუმეილა, ზედა თმოგვი, ბერთყანა, ბერისხევი და სხვ.).

ცხოვრების პირობები აიძულებდა ადამიანს გამოქვაბულისთვის შეეფარებინა თავი. გამოქვაბულებში, სადაც შუა საუკუნეებში განუწყვეტლივ ისმოდა ლოცვად დამხობილ განდეგილთა ვედრება, შეხიზნულ დედათა და ბავშვთა გულისმომკვლელი ტირილი, მეომართა იარაღის ჟღარუნი, დღეს სიჩუმეს და სიცარიელეს დაუსადგურებია.

ანტიკური დროის საქართველოში უკვე არსებობს ორი სახელმწიფოებრივი გაერთიანება–იბერია და კოლხეთი, ვითარდება საქალაქო მეურნეობა. ამ დროისათვის

იბერიის ქალაქებია: მცხეთა, ურბნისი, კასპი, უფლისციხე, გორი. კოლხეთის ქალაქებია: შორაპანი, დიმნა (დიმი), ვანი, არქეოპოლისი (ნოქალაქევი), ფაზისი (ფოთი), დიოსკურია, ბიჭვინთა, სიმაგრეები: სკანდა, ვარდციხე, ტოლები. ქართველი ხუროთმოძღვრებისათვის ცნობილი იყო ანტიკური სამყაროს არქიტექტურული ტრადიციები, ამის დამადასტურებელია ბაგინეთის, არმაზისხევის, სარკინეს ხუროთმოძღვრული შედევრები.

ცნობილია, რომ ადრე ანტიკურ ხანაში ქვის გათლილ კვადრებს ერთმანეთზე აწყობდნენ უხსნაროდ და ურთიერთშორის ამაგრებდნენ ე.წ. „მერცხლის კუდის“ სახით ხის ან ლითონის გამირებით. სიმტკიცისათვის გამირების ბუდეში, ხშირად ტყვიას ასხამდნენ. ანტიკური მცხეთა ადგილობრივ მოპოვებული ქვიშაქვით შენდებოდა, ვანი-ქვიშაქვით, კირქვითა და მარმარილოთი, არქეოპოლისში ყველაფერი, მდინარე ტეხურის ნაპირზე მოპოვებული ადგილობრივ კირქვითაა ნაგები, გამოყენებულია რიყის ქვაც, დიოსკურია ადგილობრივ მოპოვებული კირქვითა და რიყის ქვითაა ნაგები, ძველი ბიჭვინთის ასაშენებლად გამოყენებულია ბიჭვინთის კონცხზე გავრცელებული კონგლომერატები, ძველ შორაპანში–ტუფოგენური ქვიშაქვა, პორფირიტები და რიყის ქვა, მიწის ქვეშ აღმოჩნდა კირქვის ფილაქნებით მშრალი წყობით ნაგები შენობის ნაშთები.

ანტიკური ხანა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში დარჩება, როგორც ხუროთმოძღვრების განვითარების ბრწყინვალე ეპოქა.

„ქართლის ცხოვრებასა“ და სხვა მატიანეებში იშვიათად ნახავთ ფურცელს გარეშე მტერთან ჩვენი წინაპრების ბრძოლა რომ არ იყოს მოთხრობილი. მატიანეში ბევრი სოფელია მოხსენებული, როგორც ომის ასპარეზი. ვის შეუძლია ჩვენი სამშობლოს ისტორიიდან ამოშალოს იმ სოფლების სახელები, სადაც ომი ჰქონია ჩვენს ხალხს: ფარცხისი, ბირთვისი, სამშვილდე, დიდგორი, ტაშისკარი, მარაბდა, მარტყოფი, ასპინძა, ხრესილი, კრწანისი და სხვა. ყველა ქალაქი და სოფელი უნდა ყოფილიყო გამაგრებული. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ იშვიათია საქართველოში, განსაკუთრებით მის აღმოსავლეთ ნაწილში სოფელი, სადაც დღესაც ციხე-კოშკი ან

ციხე-გალავანი არ იყოს დარჩენილი, მათ ადრინდელი მნიშვნელობა დაკარგული აქვთ და ლანდშაფტის შესამკობლად თუღა აღიქმება.

გვაროვნული საზოგადოების უკანასკნელ საფეხურზე საჭირო შეიქმნა ციხე-სიმაგრეთა აგება. პირველი ასეთი ნაგებობა ციკლოპური იყო. ამ დროიდან XIX საუკუნემდე შენდებოდა საქართველოში ციხე-სიმაგრეები.

ცნობილია უჯარმის ციხე-სიმაგრე ქვიშაქვის წესიერად თლილი კვადრატებით ნაგები, ხულუტის ციხე-სიმაგრე, შოშილეთის ციხე-კოშკი ტუფოგენური ქვიშაქვებით ნაგები, ბზიფის კოშკები და გალავანი - კირქვის თლილი ქვითნაგები.

ზღუდე–გალავნები ჩვეულებრივ რიყის ან ფლეთილი ქვისაგან შენდებოდა, გვინახავს კონგლომერატის გალავანი (ბიჭვინთა). სვანეთში, საქართველოს მთიან რაიონებში ციხე-სიმაგრეები და კოშკები ძირითადად ფიქალითაა ნაგები.

ნიშანდობლივია ქართულ ციხე-სიმაგრეთა სახელწოდებანი: ანანურში კოშკის სახელწოდება „შეუპოვარი“ ხალხს სიმხნევისაკენ მიუთითებს, კლდეკარი-მრისხანების მაჩვენებელია. გვახსენდება ირაკლი აბაშიძის სტრიქონები:

„შურის ძველ ხიდთან, სადაც გორმახებს
თითქოს მდინარემ დანა დაუსვა
სამი ციხე დგას, ციხე „დაუხვდი“
ციხე „დაჰკარი“ და „არ გაუშვა“.

თავდაცვით ნაგებობებს მიეკუთვნება ქვის სასიმაგრო კედლები. საქართველოში ყველაზე დიდია კელასურის კედელი (XVII ს.) კელასურიდან ენგურამდე.

ორი ათასზე მეტი ხნის მანძილზე შენდებოდა საქართველოში ციხე-კოშკები, გალავნები, სხვადასხვა სახის სიმაგრეები, შენდებოდა რიყის ქვით, ფლეთილი ქვით, ზოგჯერ თლილი ქვითაც. ქვისაგან ნაგებ სიმაგრეებს ხან მტერი ანგრევდა, საჭიროების შემთხვევაში მოყვარეც. ყველაზე ძლიერი საშენი ქვა ჩვენი ხალხის დაუმორჩილებელი სული, დამოუკიდებლობის, თავისუფლების უსაზღვრო წყურვილი აღმოჩნდა. მტერმა, ბუნების ძალებმა მრავალი მტკიცედ ნაგები ციხე-კოშკი აღგავა პირისაგან მიწისა. ყველაზე მკვიდრად ნაშენი, აუღებელი ციხე-სიმაგრე კი ჩვენი ხალხის გამარჯვების მტკიცე რწმენაა. ამ რწმენამ მოგვიპოვა ნამდვილი დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვემოთ განხილულია შუა საუკუნეებიდან მშენებლობაში გამოყენებული ქანები: მარმარილო. მარმარილო მეტამორფული ქანია - წარმოიქმნება კირქვის ან



ხევსურეთი. სოფ. მუცო. ნახ. ლ. სუმბაძისა

დოლომიტის გადაკრისტალებით. წვრილმარცვლოვანი აგებულებით, ლამაზი ფერებით, სარკისებრი გაკრიალების უნარით, მარმარილო უძვირფასესი ქვაა არქიტექტორისა და მოქანდაკისათვის. აი, როგორ ახასიათებს მარმარილოს ცნობილი ხელოვნებათმცოდნე ა.ფელკერზამი: „ჩვენს პლანეტაზე არ არის სხვა მასალა, რომელსაც ჰქონდეს ისეთი სუფთა თეთრი ფერი, როგორც მარმარილოს: იგი შეიძლება შევადაროთ მხოლოდ ახალ ჩამოცვენილ თოვლს; მეორე მხრივ შავი მარმარილო თავისი სარკისებური ელვარებით ჰქმნის პირქუშ საზეიმო მშვენიერებას და სიძლიერეს. ასევე აღძრავენ ფანტაზიას ძარღვებითა და ლაქებით მარმარილოს მრავალრიცხოვანი ფერადი სახესხვაობანი...

ბათუმი. 9 აპრილის ქ 12

ჭუთაისი. ფალიაშვილი ქ 33

თბილისი. დავითაშვილის ქ 7

თბილისი. ლეონიძის ქ 7

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისი
ჭავჭავაძის ქ 4



თბილისი
აღმაშენებლის გამზ. 133

თბილისი
მაზნიაშვილის ქ 16

თბილისი
ბნელი რიგი

თბილისი
კოჯრის ქ 3

თბილისი
წმ. აბო თბილელის ქ 6



თბილისი. მაჩაბლის ქ 13
სადარბაზოს კარი

თბილისი. ვაშლოვანის ქ 6
შიდა ეზო



თბილისი. ია კარგარეთელის ქ 3

თბილისი. ახოსპირელის ქ 5/7

როგორი დიდებული, საუცხოო და დეკორატიულია წითელი და ყვითელი, როგორი ფანტასტიურია ყვითელი, შავძარღვიანი მარმარილო; როგორი საოცარია წითელი ან მწვანე, რომელშიც სხვა ფერებია ჩართული. ზოგჯერ მარმარილოზე თითქოს ჩანს ქვაში გარინდებული გამოსახულება სტიქიის ტიტანური ბრძოლისა და მთელი სამყაროსი".

ქართულად მარმარილოს დრუნგილი ეწოდებოდა (ს.ს.ორბელიანი-მარმარილო-დრუნგილი).

ანტიკური დროის საქართველოში მარმარილოს გამოყენებაზე მიგვითითებს მცხეთაში არმაზისხევთან ნაპოვნი მარმარილოს არქიტექტურული დეტალი, ქანდაკებათა ნიმუშები.

თვალისმომჭრელი თეთრი მარმარილო ყოფილა გამოყენებული ცანდრიფშის (გაგრის ზონა) VII საუკუნის ტაძრის პილასტრებისათვის. ოჩამჩირის რაიონის სოფელ აძიუბჟაში დღემდე შემორჩენილია შუა საუკუნეების ეკლესია მარმალ–აბაას. ეკლესიისათვის აფხაზებს კოშკი უწოდებიათ (აბაა-აფხაზურად კოშკი). ამჟამად კედელზე მარმარილოს ფილები შემოძარცულია.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით ქუთაისის ბაგრატის ტაძრისათვის მარმარილო ყოფილა გამოყენებული: „აქა აღაშენა... მეფემან ბაგრატ ყოვლად წმიდისა ეკლესია შვენიერი, გუმბათიანი, სრულიად სოფლის კენჭით (მოზაიკით ვ.ზ.) შინაგან ქმნული და მარმარილოთა სპეტაკითა, წითლითა და ჭრელითა და სვეტებით მისითვე და ყოველთა შემკობილებითა სრული და ფრიად დიდი", თბილისში ვახტანგ მეექვსის სასახლეზე ვახუშტი წერს: „მეფემან ვახტანგ აღაშენა სახლი შვენიერი სრულიად სარკითა და მოოქროვილი, დიდ მხატვრობითა და მარმარილოს კედლითა". მარმარილო, განსაკუთრებით ნაგებობათა შიდა მოპირკეთებისათვის, არქიტექტურული მორთულობისათვის საქართველოში არასოდეს არ ყოფილა ისე გამოყენებული როგორც მე-20 საუკუნეში.

საქართველოში გამოყენებული იყო, როგორც შემოტანილი, მაგალითად ვამეყ დადიანის მიერ ხობის ეკლესიისათვის, ისე ადგილობრივ მოპოვებული მარმარილო. ჩვენში ბევრგანაა ცნობილი მარმარილო, გამარმარილოებული კირქვები. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია მარმარილოს ლოპოტის (კახეთი), დიზის (სვანეთი)

ბუდობები. მათ შეუძლიათ კონკურენცია გაუწიონ მსოფლიოში ცნობილ მარმარილოს ბუდობებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზალტი–აღმოსავლეთ საქართველოში შუა საუკუნეებში ხუნოთმოძღვრული ძეგლები მეტწილად ბაზალტითაა მოპირკეთებული. დღემდე მოაღწია ბაზალტის ძველმა კარიერებმა: ერთ-ერთ კარიერს ამჟამადაც „ქვასათალს“ ეძახიან. ძველ საქართველოში ბაზალტს ჭეო ეწოდებოდა (რ.ერისთავი). სამხრეთ საქართველოში მეგალითურ ნაგებობებს ძირითადად ბაზალტით აგებდნენ. შუა საუკუნეებში, ქართლში ძირითადად საშენ ქვას ბაზალტი წარმოადგენდა. ბაზალტითაა ნაგები შუა საუკუნეების ქალაქი - სიმაგრეები დმანისი, სამშვილდე, ეკლესია-ტაძრები–რუისი, ზემო ნიქოზი, თირი, ერედვი, ხერთვისი, ალანძა, ნადარბაზევი, ფია, ჩხიკვთა, ვარძია, წუნდა და სხვ.

დოლერიტი- უფრო მსხვილმარცვლოვანი, შავი ან მუქი იისფერი ბაზალტია. დოლერიტს მიეკუთვნება ჩვენი დედაქალაქისათვის ცნობილი „ალგეთის ქვა“. .თბილისში ალგეთის ქვა ფართოდაა გამოყენებული შენობათა ცოკოლების, მოაჯირების, ტროტუარებისათვის, ზოგჯერ გამოყენებულია, როგორც მოსაპირკეთებელი ქვა. თბილისი ბაზალტის ქალაქია.

ანდეზიტი–ბაზალტის მსგავსად ანდეზიტსაც მშენებლობაში უძველესი დროიდან იყენებდნენ. ანდეზიტი ბაზალტთან შედარებით უფრო ღია ფერისაა. ვარდისფერი, ნაცრისფერი, იისფერი ან მოშავო. ქართლში უხსოვარი დროიდანაა ცნობილი, ანდეზიტი - „დოდოთის ქვა“, რომელთაც „ბურვენ ეკლესიებთა, სიბრტყისა და სიმსუბუქისათვის“ (ვახუშტი). ანდეზიტითაა ნაგები მრავალი ხუროთმოძღვრული ძეგლი: საფარის მონასტერი, ზარზმა, ვალე, ქარზამეთი, გაგეთი, უდე, საბაწმინდა, სხალთა და სხვ.

ანდეზიტითაა მოპირკეთებული ყაზბეგის რაიონის თითქმის ყველა ძველი თუ ახალი ქვის ნაგებობა: გერგეტის სამების ეკლესია, არშის ციხე, ყაზბეგის სასახლე, (ამჟამად მუზეუმი) და სხვ. მოხვევები ანდეზიტს კეცის ქვას უწოდებენ.

საქართველოს დეკორატიულ ქვებს შორის ფერით და ლამაზი ტალღობრივი ნაყშებით ყველაზე მნიშვნელოვანია ბოლნისის ტუფი. ამ ტუფით არის

მოპირკეთებული–ბოლნისის სიონი, თბილისის სიონის ტაძარი, ჩვენი ეპოქის ნაგებობანი: საქართველოს მთავრობის სასახლე, ყოფილი იმელის შენობა.

გუდარეხი. სამრეკლო 1278 წ.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და სხვ.თეძამის იისფერ და მწვანე ტუფს შუა საუკუნეებიდან ჰქონდა გამოყენება. ამ ტუფითაა მოპირკეთებული კასპის რაიონში მეტეხის ეკლესია. მწვანე ტუფითაა მოპირკეთებული მცხეთაში სვეტიცხოველის გუმბათის ყელი. მემატიანე მას „მწვანე პორფირს“ უწოდებს. ბუეთის მომწვანო ფერფლის ტუფითაა მოპირკეთებული თბილისის ანჩისხატის ეკლესია. ამ

ეკლესიისათვის გამოყენებულია თბილისის მიდამოების დაბახანის ტუფი, ჭყაბის ეკლესია - მოპირკეთებულია იისფერი ფოროვანი ტუფით, ატენის სიონი დახურულია იისფერი ანდეზიტური ტუფით. გურიაში, შემოქმედის ტაძარში გამოყენებულია ფერფლის ტუფი, იგივეა მარტვილის ტაძარშიც და სხვ.

მომწვანო ფერის ქანები ალბიტოფირები–კვარციანი ალბიტოფირები გამოყენებულია ბოლნისის, აკაურთას, გუდარეხის და სხვა ეკლესიებისათვის.

მოპირკეთებისათვის გამოყენებული იყო ვულკანური ქანი პორფორიტი: ქუთაისის ბაგრატის, შემოქმედის, წრომის ტაძრებისათვის და სხვ.

კურსების ტეშენიტი–წარმოადგენს საუკეთესო დეკორატიულ ქვას. მას ფართო გამოყენება აქვს მონუმენტურ ნაგებობებში: ცოკოლები, კიბეები, ძეგლის კვარცხლბეკები და სხვ. ქანს ადგილობრივ „გრანიტს“ უწოდებენ. გამოყენება აქვს მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან. ტეშენიტითაა მოპირკეთებული ყოფ. იმელის სვეტები, ქუთაისის თეატრის ცოკოლი, ხიდი მდ.ბესლეთზე სოხუმში და სხვ.

ქვიშაქვა–საქართველოში მოპირკეთებისათვის გამოიყენება ანტიკური ხანიდან. მცხეთაში იმ დროინდელ ნაგებობათა მეტი ნაწილი აგებულია ადგილობრივი ქვიშაქვით. მცხეთის ჯვარი (586-604) მოპირკეთებულია ადგილობრივი ფათნიანთხევის მუქი, მოყვითალო-მოწითალო-იასამნისფერი წვრილმარცვლოვანი ქვიშაქვით.

ანტიკური დროის ვანში ადგილობრივი ქვიშაქვებია გამოყენებული. ატენის სიონი მოპირკეთებულია ღია ყვითელი, წვრილმარცვლოვანი ქვიშაქვით. ამ ქანის მოპოვება უძველესი დროიდან დღემდე წარმოებს სოფელ ჯებირის კარიერიდან. ქართლის რაიონების ოლიგოცენური წვრილმარცვლოვანი, მოყვითალო ქვიშაქვებით მოპირკეთებულია შუა საუკუნეების ნაგებობანი: სამთავისის ტაძარი, ბცისი, წინარეხი, თიღვა, სამწევრისი, ოქონა, ქვიშაქვა ნაწილობრივაა გამოყენებული ქვემო ძალინას კოშკებისათვის, ნულის ციხე-დარბაზისათვის, ქვემოჭალის კოშკებისათვის, სხვილოს, სურამის ციხეების, ლარგვისის მონასტრის, ქსნის ერისთავების სასახლისათვის. თბილისში მეტეხის ეკლესია (1278-1289 წწ.) მოპირკეთებულია მსხვილ-მარცვლოვანი ქვიშაქვით. ტუფოგენური ქვიშაქვითაა მოპირკეთებული თბილისის „ლურჯი მონასტერი“.

დასავლეთ საქართველოში ქვიშაქვები გამოყენებულია–წალენჯიხის, ბედიის, მოქვის ტაძრების, ილორის ეკლესიის მოსაპირკეთებლად.

ქართლის რაიონებში მოსაპირკეთებლად ამჟამადაც იყენებენ – ქვიშაქვას, ტუფოგენურ ქვიშაქვებს.

კირქვა–მოსაპირკეთებლად გამოყენებულია აღმოსავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით თბილისში, მაგრამ კირქვები ძირითადად დასავლეთ საქართველოსთვის არის დამახასიათებელი. კირქვითაა მოპირკეთებული: გელათი, მოწამეთა, ქუთაისში-ბაგრატის ტაძარი, უქიმერიონი, მწვანეყვავილა. ქუთაისი კირქვის



გერგეტის სამება. ნ. სვეტროვის ნახატი 1939 წლის რეკონსტრუქციამდე

ქალაქია. კირქვითაა მოპირკეთებული: ნიკორწმინდა, მარტვილი, კაცხი, სავანე, გეგუთი, ნოქალაქევი, სუჯუნა, ხობი, ცაიში, ძველი თუ ახალი სოხუმი, ახალი ათონი, ბესლეთის ძველი ხიდი, ლიხნი, ბზიფის ტაძარი, ბიჭვინთა, გაგრა და სხვ.

საქართველოში ბევრგანაა ცნობილი კირქვის კარიერი, მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეკლარი სოფელ ჭოგნარის ტერიტორიაზე. ტრავერტინი ანუ კირქვის ტუფი თეთრი, მოყვითალო-ნაცრისფერი, ფოროვანი, შრეებრივობას მოკლებული, მკვრივი ქანია, იგი კალციუმის კარბონატით მდიდარი ცხელი ან ცივი წყაროებიდან გამოიყოფა და დედამიწის ზედაპირზე ილექება მცენარეებისა და ცხოველების მონაწილეობით. ამ ქანს ასეთ განმარტებას აძლევს ს.ს.ორბელიანი: „სპონდიო არს კლდე წყლისა და ხავსის მიერ ქვაქმნილია“.

ძველ საქართველოში კირქვის ტუფი ფართოდ ყოფილა გამოყენებული. ამაზე მიგვითითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ეს ქანი ქართულად რამოდენიმე სახელწოდებას ატარებს: კახეთში მას შირიმის ქვას უწოდებენ, ქართლში შირიმთან ერთად დაჭვრეტის ქვასაც ეძახიან, ფშავში-მატალას. დასავლეთ საქართველოში იგი სპონტიკის ან სპონდის სახელწოდებითაა ცნობილი, სვანურად სპენდის უწოდებენ.

საქართველოში შირიმის ანუ სპონტიკის ქვა, როგორც საშენი მასალა ჯერ კიდევ VI საუკუნის არქიტექტურულ ძეგლებში გვხვდება, განსაკუთრებით კახეთის რაიონებში (ცხრაკარა, ახმეტა, გორიჭვარი, ნეკრესის ბაზილიკა, კონდამიანის ეკლესია და სხვა.) ეს ქვა გამოყენებულია უფრო გვიანდელ ძეგლებზედაც (ჭერემის კათედრალური ტაძარი, ალავერდი, ნინოწმინდა, აკურას ბაზილიკა და სხვ.). კახეთში შირიმს ამჟამადაც იყენებენ. იმერეთში უბისის ტაძარი მოპირკეთებულია სპონტიკით, კაცხის ტაძრისათვის ნაწილობრივ სპონტიკია გამოყენებული. სპონტიკითაა მოპირკეთებული რაჭაში შუა საუკუნეების გორისუბნის, კლდისუბნის, პატარა ონის-რაკეთის ეკლესიები. მარტვილისა და ხობის ტაძრების შიდა მოპირკეთებისათვის კირქვასთან ერთად სპონტიკია გამოყენებული. ეს ქანი გამოყენებულია აფხაზეთშიც: ბზიფის, მარმალ-აბაას, ილორის ეკლესიები. შუა საუკუნეების ქიაჩის ეკლესიის შიდა და გარეპერანგი მთლიანად სპონტიკისაა. სპონტიკს მშენებლობაში ამჟამად იშვიათად იყენებენ. უკანასკნელ წლებში კირქვის ტუფი გამოიყენება შუა საუკუნის ძეგლის კვეტერას სარესტავრაციო სამუშაოებისათვის.

ფიქალი–თხელფენობრივი, წვრილმარცვლოვანი, ელვარე ზედაპირის, შავი ან მუქი ნაცრისფერი ქანია. იგი თიხების გამკვირვებით წარმოიქმნება დაშრევების სიბრტყით თხელ ფირფიტებად იპობა.

შორეული დროიდან საქართველოს მთიან რაიონებში საცხოვრებელ თუ საბრძოლო ნაგებობებისათვის, განსაკუთრებით კოშკებისათვის, ფიქალი იყო გამოყენებული. ხევსურეთში დღემდეა დარჩენილი ფიქალის 3-4 სართულიანი 15-20 მეტრის სიმაღლის კოშკები. იგივე შეიძლება გავიმეოროთ ხევის, მთიულეთის, ფშავის, თუშეთის, მთიანი რაჭის, სვანეთის შესახებ. წინათ, ფიქალს ქართულად ქვის ფიცარსაც უწოდებდნენ, მოხევეები ფიქალს ჭაჭის ქვას ეძახიან, სვანები კას. მთიან რაიონებში ფიქალს ამაჟამადაც იყენებენ საშენად და სახურავად. ფიქალის საბადოებიდან აღსანიშნავია კახეთში საბუე და არტაანი, სვანეთში - ლუჯი, ფიქალის ბუდობები ცნობილია მთიულეთში, ხევში, რაჭაში.

უკანასკნელ ხანებში ფიქალი გამოყენებულია როგორც დეკორატიული მასალა ნაგებობათა შინაგანი მორთულობისათვის.

რიყის ქვა–მეოთხეული მდინარეული ნალექია. იგი ყველაზე ადვილმისაწვდომი საშენი მასალაა. კირის გამოყენების შემდეგ რიყის ქვას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა.

კახეთში რიყის ქვით V-VI საუკუნეებში ნაგებმა სიმაგრეებმა, ციხე-გალავნებმა, კოშკებმა, ეკლესია-მონასტრებმა, სასახლეებმა ჩვენს დრომდე მოაღწია. უძველესი დროიდან მთელი საქართველო საშენად იყენებდა რიყის ქვებს, იყენებენ ამჟამადაც, საბადოებიც ყველგანაა - დიდი მდინარეების ნაპირას.

ცალკე უნდა აღინიშნოს კლდის მასალა: ნგრეული, ფლეთილი, ყორექვა, რომელსაც უძველესი დროიდან იყენებდნენ საქართველოში და იყენებენ დღესაც.

გვიანანტიკური ხანის ბიჭვინთის ნაქალაქარი ძირითადად ადგილობრივ გავრცელებული კონგლომერატებით ყოფილა აგებული. შუა საუკუნეებში ნაქალაქარის ნანგრევებიდან აღებული კონგლომერატებით აუშენებიათ ბიჭვინთის მონასტრის გალავანი.

ამგვარად, საუკუნეების მანძილზე საქართველოში საშენად - მოსაპირკეთებლად ძირითადად გამოყენებული იყო: ბაზალტი, ანდეზიტი, ტუფი, ქვიშაქვა, კირქვა, რომის ქვა.

ქართულ ხუროთმოძღვრებაში ქვა იყო და რჩება მთავარ მასალად მონუმენტურ ნაგებობათა ფასადების მოპირკეთებისა და არქიტექტურული მორთულობისათვის.



ქუმო ჭალის არქიტექტურული კომპლექსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაირა ჯაფარიძე

გიორგი სააკაძის ხმალი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმიდან

სპარსულწარწერიანი ძეგლების დიდი კოლექცია, რომელიც საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის საგანძურსა და აღმოსავლური ხელოვნების განყოფილებაში ინახება, სრულიად უცნობია სამეცნიერო ლიტერატურისათვის, რადგან წარწერები წაკითხული არ გახლდათ. ამ მრავალრიცხოვანი წარწერების შესწავლა, რამდენიმე წლის წინ, საგანძურის განყოფილების გამგემ, პროფესორმა გურამ აბრამიშვილმა შემოგვთავაზა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ. ჩვენს მიერ წაკითხული და შესწავლილ იქნა ტორეუტიკისა და საჭურვლის ყველა სპარსულენოვანი წარწერა. ტორეუტიკაზე ძირითადად სპარსული კლასიკური პოეზიის ბრწყინვალე წარმომადგენლებთა[1] შემოქმედების ფრაგმენტები აღმოჩნდა, საჭურვლზე, კი ირანის შაჰთა[2] თუ ქართველ მეფეთა და დიდებულთა[3] წარწერები.

საჭურვლის შორის ჩვენი ყურადღება მიიქცია ხმალმა, რომელიც საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის საინვენტარო წიგნის მიხედვით, საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებისათვის[4] 1911-12 წწ. შეუწირავს ეკატერინე ივანეს ასულს, სარაჯიშვილის ქვრივს[5] სხვა რაიმე ცნობა ამ ხმლის შესახებ არ მოგვეპოვება.

ხმალი[6] ფოლადისაა, ვადავჯრიანი, ცალპირლესული, სქელი ყუით, ოდნავ მოხრილი. წინა „კერძო“ მცირედ განხრილი, წვერთან ორპირლესული. პირთან და ყუასთან დაჭყეტა თითო შაშარი. ქარქაში ხისაა, ტყავგადაკრული, გაწყობილია ზარნიშით დაფარული მცენარეული დეკორით, შემკულია თვალის ფორმის ყაწიმითა და ლითონის გარსაკრავით, რომელიც ხმლის წვერს ფარავს.

ხმალს აქვს ტყავგადაკრული კოტა ლითონის მოზარნიშებული ქუდით. ქუდი მოკაუჭებულია და აქვს თასმის გასაყრელი ნახვრეტი. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ხმლის პირის ცალ მხარეს ზარნიშით გამოყვანილი სტილიზებული

ვარდულის ფორმის დეკორაციული ორი ჩარჩო, ზარნიშითვე გამოყვანილი სპარსული წარწერებით შეკვეთული. ხედა ჩარჩო დაბოლოებულია კოკრითა და სტილიზებული ორი ფოთლით. ქვედა მოჩარჩოება ოთხფურცელა ვარდულია, ფურცლებს შორის არეები კუთხის ფორმის, მოზარნიშებული ხაზებით გამოყვანილ სტილიზებულ შემაერთებელ ნაკვთებს უჭირავს.

სურ. 1 გიორგი სააკაძის ხმალი.
საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი ფონდი
ს.ს.ს.-764

სპარსულ საჭურველზე[7] ამგვარ მოჩარჩოებაში შესრულებული წარწერები ძირითადად შაჰის ვენახილს წარმოადგენს. ამ შემთხვევაშიც, წესით რომელიმე შაჰთან უნდა გვქონოდა საქმე, მაგრამ წარწერის წაკითხვის შემდგომ აღმოჩნდა, რომ წარწერის ზედა ნაწილში ნახსენებია თბილისი, თბილისის ქვეით კი-გიორგი.

"თბილისი" წარწერაში იკითხება ჩვეულებრივ მარჯვნიდან-მარცხნივ, "გიორგი"-ქვედან ზევით, გრაფემები ჩაწერილია ერთიმეორეში და ერთხმეორის თავზე. "გ"-ს ნაცვლად გამოყენებულია "ჭ" რაც დასაშვებია.

სურ 2. წარწერა ხმალზე

ეი. "იფლისი ჭურჭი"

შედარებით რთულად იკითხება ვარდულის შეკუმშულ ნაწილში ხარისხით გამოყვანილი სიტყვა, რომელიც სიტყვა "იფლისი"-ს თავზეა მოქცეული.

ბოლოში გადასმულ სამ წერტილს, (რომელიც ოსტატს წარწერის სიმეტრიულად განაწილების გამო უნდა გადაეტანა რაც დასაშვებია ირანულ ტორევტიკასა და საჭურველზე წარწერების შესრულებისას, რადგანაც წარწერებს ამ შემთხვევაში მხატვრული მნიშვნელობაც აქვთ მინიჭებული) თუ თავის ადგილზე დავაბრუნებთ, მივიღებთ სიტყვა باتون (ბათუნს)-ქართულად "ბატონი"

ამგვარად, წარწერა უნდა იკითხებოდეს:

باتونی تفلیس گورگی

„ბათონი თჶლისი გურგი"

ქვედა მოჩარჩოებაში, რომელშიც ირანულ საჭურველზე ხელობის აღმნიშვნელ ტერმინთან (عمل / ამალ / ar. عمال / ამალ / საქმე, ხელობა, სამუშაო) ერთად ყოველთვის ოსტატის სახელი და თარიღია შესრულებული, აქ მხოლოდ თარიღი გვხვდება ამ სიტყვასთან.

عمل سنه ١٢٦..

გაკეთებულია წელსა 116 (ან 126-სა), მაგრამ თარიღი მხოლოდ სამი ციფრისაგან შედგება 116, ორი წერტილი კი გადასმულია ციფრების თავში (წერტილი 0-ს აღნიშნავს). ჩვენი აზრით ეს მეოთხე ციფრი სწორედ ნული უნდა იყოს, რადგანაც თუ ეს სამი ციფრი იქნებოდა თარიღი, მივიღებდით ჰიჯრით 609 წელს, რაც არარეალურია. ხმლის ორნამენტული მხარე, ყაწიბების ფორმა, დეკორაციული ჩარჩოების მხატვრული ფორმები XVII საუკუნის დასაწყისის საჭურველთან დგას ახლოს და სწორედ ამიტომ თუ წინ გადასმულ წერტილებს (0) თავის ადგილზე ჩავსვამთ, მივიღებთ ჰიჯრის 1016 წელს 1.16 =1609 წელს. და თუ გავითვალისწინებთ, რომ ზემოთ მოტანილ წარწერაში „თბილისის ბატონი გიორგი-ა" ნახსენები, მაშინ ეს გიორგი, ჩვენის აზრით, გახლავთ გიორგი სააკაძე, რომელიც სწორედ 1609 წელს და უფრო ადრეც 1608 წლიდან ჯერ თბილისის და შემდგომ ცხინვალისა და დვალეთის მოურავი იყო[8] "თბილისის ბატონის" იდენტიფიკაციას გიორგი სააკაძესთან აახლოებს ის გარემოებაც, რომ თბილისის ბატონი ანუ მოურავი, თუნდაც თავადი ან მეფის ძე შაჰის კარზე ისეა პატივცემული, რომ ხმალზე შაჰის ვენზილის იდენტური ვენზილის გამოსახვის უფლება ჰქონდეს, ამასთან შაჰის სახელის ნაცვლად, საკუთარი სახელი ეწეროს. გიორგი სააკაძის, დიდი მოურავის გარდა, ამ პერიოდის ისტორიას სხვა ამ

რანგის პიროვნება არ შემოუნახავს, თარიღში მეოთხე ციფრის აღდგენაც მისი მოურაობის ხანას გვიჩვენებს. მოვიყვანთ მეორე მაგალითს, რომ ეს ხმალი მართლაც გიორგი სააკაძეს ეკუთვნოდა, რომელიც ასევე თარიღთანაა დაკავშირებული. თარიღს მეორე ციფრთან აქვს რკალისებური ხაზი, თუ ამ ციფრს ჩავთვლით ორად ე.ი. მივიღებთ ჰიჯრის 1.26 =1026=1619 წელს. ამდენად ისევ გიორგი სააკაძის[9] მოღვაწეობის პერიოდს გვიჩვენებს, მხოლოდ იმ დროისას, როდესაც 1619 წელს შაჰ-აბასმა იგი ქართლის ხანის სიმონ II ვეჭილად დანიშნა[10]



სურ. 3 წარწერები შაჰ აბასისეულ ხმალზე

ირან-ოსმალეთის ომის დროს (1602-12 წწ.) 1609 წელს ქართლში ოსმალებისა და ქარიმელი თათრების შემოჭრისას, საქართველოს მატიანეში აღნიშნულია, რომ ბრძოლის წამმართველი გიორგი სააკაძე იყო[11] ჩვენს ხელთ არსებული ხმლის თარიღი ემთხვევა ტაშისკარის ბრძოლას (1609 წ.), როდესაც გიორგი სააკაძის სარდლობით ქართველებთან ერთად ტფილისის ციხისთავიც გამოვიდა ოსმალებთან საბრძოლველად. გიორგის სარდლობით თითქმის მთლიანად გაანადგურეს ოსმალები[12] ამ ბრძოლას, როგორც ქართველებისათვის, ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შაჰ-აბასის სპარსეთისათვის, შაჰს რომ ეჩუქნა ხმალი, ტაშისკარის ბრძოლაში გამარჯვებისათვის, მას აუცილებლად ექნებოდა ხმლის პირის მეორე მხარეს შაჰის ვენახლიც. ამავე დროს, პალეოგრაფიულად არ ჰგავს ირანის შაჰთა თუ დიდგვაროვანთა ხმლების წარწერების გრაფემებს, ის განსხვავებულია და წარწერის შესრულებისას შეცდომებიც აღინიშნება. მისი წარწერა არ ჰგავს ირანში

დამზადებული ხმლების წარწერებს. ჩვენი აზრით ხმალი საქართველოში უნდა გაეკეთებინათ, ოსტატის სახელიც ამიტომ არ არის აღნიშნული. საქართველოში დამზადებაზე მიუთითებს სპარსული წარწერის შეცდომებით შესრულებაც. სპარსეთში შესრულებულ ხმალზე გრაფემა "ვ" სიტყვა "ბატონში" არ იქნებოდა.

ჩვენთვის საინტერესო მოსაზრება მოგვაწოდა ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომელმა, ისტორიკოსმა ირაკლი ზაქარიაშვილმა- „სავარაუდებელია, რომ ხმალი თბილისის მოურავ გიორგი სააკაძეს მიუძღვნა თბილისელ მესაჭურჭლეთა ამქარმა, როგორც 1609 წ. ცხირეთ-ტაშისკარის ბრძოლაში ბრწყინვალე გამარჯვების ორგანიზატორს"

ამგვარად, საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცული ხმალი (სსსს-764) გიორგი საკაძისაა, იგი დამზადებული ჩანს საქართველოში მისი "ტფილისის" მოურაობის (1609 წ.) დროს, ტაშისკარის ბრძოლაში გამარჯვების აღსანიშნავად.

---

1. მოსლეჰ ედ-დინ აბუ მოჰამედ აბდ ალ-ლაჰ იბნ მოშრეფ საადი შირაბელის (1184/1203-1292 წწ.); შამს ედ-დინ მოჰამედ ჰაფეზ შირაზელი (1310/20-1389 წწ.); ნურ ედ-დინ აბდ-ორრაჰმან ჯამი (1414-1492); ამავე დროს ნაკლებად ცნობილი პოეტების: ჰაფეზ ყაბუნი განის, მულლა ჰეირეთი ტუნი; ასევე სრულიად უცნობი პოეტების ფრაგმენტები. იხ. სასანთლეები წკ. 8;9;10;11; და ა.შ. ნ. ჯაფარიძე, სასანთლე ხელოვნების სახ. მუზეუმის ფონდებიდან, თბ. ახალგაზრდა ისტორიკოსთა კონფერენციის თეზისები, 1981 წ. გვ. 55-56; სარიტუალო დანიშნულების სპარსული წარწერიანი სპილენძის ხელსაბანი საქართველოს რესპ ხელოვნების სახ. მუზეუმის ფონდებიდან, თეზისები 1989 წ. შაფ-სეფის წარწერა,-მიუნხენში მცხოვრები ვანო ჭიქოძის მიერ მუზეუმისათვის ნაჩუქარ ხმალზე შ/წ 19655; 1989. ს4 535 P. 532 შაჰ-აბასის წარწერა ხმალზე და სხვა.

2. სოლომონ ლიონიძის წარწერა– ს4 535 ხმალზე. (ხმალი ჩამოტანილია ვახტ ავალიშვილისა და თიკანაძის მიერ 1911 წელს სპარსეთიდან); გრიგოლ ორბელიანის ხმლის წარწერა ს43280; გიორგი შერვაშიძის (იგივე ბეჭერ ალი–ბეგ, აფხაზეთის მთავარი 1810–17 წწ.) ს4 4271; ლატიხის შტუცერის სპარსული წარწერა, სადაც ნათქვამია, რომ ჩოლოყაშვილი დემნა ბრძოლის სამახსოვროდ ჩუქნის ბარათაშვილ ზურაბს (1812 წ. აჯანყების მეთაურები: დემნა და ნიკოლოზ ჩოლოყაშვილები) და მრ. სხვა.
3. როინ მეტრეველი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება. ხელოვნება, თბ. 1982.
4. სხმ. სსსს764 საინვენტარო წიგნი თბ. 1982.
5. ს4 764
6. იხ. ხმალი შაჰ–აბას II–ისა ს4 535; ხმალი შაჰ–სეფისა ს4 2942, (ყველა წარწერა ხმლებზე ჩვენს მიერაა წაკითხული).
7. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 8, მთავარი სამეცნიერო რედაქცია, გვ. 535.
8. არჩილი, თხზ. სრული კრებული ორ ტომად, არჩილიანი, ალ.ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ. 1937; ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც. ტ. 2, თბ. 1959. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, იქვე, ტ. 4 თბ. 1973; იოსებ ტფილელი, დიდმოურავიანი, გ. ლეონიძის გამოკვლევითა და რედ. თბ. 1939; გვრიტიშვილი დ. ნარკვევები საქ ისტორიიდან (XV–XVII სს.) ტ. 2, თბ. 1965. ლევან სანიკიძე, გიორგი სააკაძე, თბ. უნივერსიტეტის გამომც. 1988; ეკვენი დალეკვიო და ალესიო, ქართველები კონსტანტინეპოლში და სპარსეთში, თბ. მერანი 1990; ქართული ენციკლოპედია ტ. 8.
9. ქართული ენციკლოპედია 1981, ტ. 8, გვ. 535.
10. იქვე გვ. 71.
11. დასახ. ნაშრ. ტ. 9, 1985 გვ. 669.

    ვ. გუჩუა, ქართველი ხალხის ბრძოლა დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური მთლიანობის აღდგენისათვის XVI საუკუნეში. წგნ: საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. 4, თბ. 1973.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი ზაქარიაშვილი

თენგიზ ქართველიშვილი-მხატვარი გრაფიკოსი

თენგიზ ქართველიშვილი 1945 წელს თბილისში, ვერის კოლორიტულ უბანში დაიბადა. პატარა, გრეხილი კიბეებითა და მოხარატებული აივნებით შემკული ეზოები, მრავალეროვანი სამეზობლო, სამუდამოდ რჩება მის ხსოვნაში.

თენგიზ ქართველიშვილი ქუდბედიანი აღმოჩნდა იმითაც, რომ მის ეზოში, ბარნოვის 35-ში, ცხოვრობდა გამოჩენილი თეატრალური და საზოგადო მოღვაწე ვასო ყუშიტაშვილი-მომავალი მხატვრის ნათლია.

დიდებული ხელოვანის საუბრები, იმ დროინდელი მარჯანიშვილის თეატრის სპექტაკლები, სადაც ხშირად დაყავდა საყვარელ ნათლიას, აფართოებს ახალგაზრდა კაცის თვალსაწიერს, მის ინტელექტს, ლტოლვას ხელოვნებისაკენ.

საშუალო სკოლიდან თენგიზი გადავიდა და 1968 წელს დაამთავრა თბილისის იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო ტექნიკუმი. აქ მან გამოავლინა მაღალი საშემსრულებლო დისციპლინა, შრომის მოყვარეობა, სწრაფვა პროფესიის გაღრმავებისათვის.

თენგიზ ქართველიშვილის როგორც თავისთავადი მხატვრის ფორმირებაში ტექნიკუმთან ერთად გარკვეული როლი შეასრულა მისმა საქმიანობამ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, როგორც მხატვარ შემსრულებელმა, სადაც მას შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა სცენოგრაფიის დიდოსტატებთან სოლომონ ვირსალაძესთან, ივანე ასკურავასთან და სხვებთან.

საერთოდ ოპერის თეატრი, მისი სახელოვანი კოლექტივი თენგიზის აღზრდის თვალსაჩინო კერად იქცა, რომელთანაც კონტაქტი სამხატვრო აკადემიაში სწავლის პერიოდშიც არ შეუწყვეტია.

თენგიზ ქართველიშვილმა დაამთავრა რა ტექნიკუმი, სწავლა გააგრძელა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში, სადაც სწავლასთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებს სტუდენტთა შემოქმედებით საქმიანობაში. პრესა დადებითად ეხმაურება, თანატოლ მხატვრებთან ერთად მის 1971 წლის ზამთრის გამოფენას

ბაკურიანში. ეს იყო მხატვრის პირველი წარმატებული ნაბიჯი რომანტიკულ გრაფიკის-პლაკატისტისა. რასაც მოჰყვა მონაწილეობა საქალაქო და რესპუბლიკურ გამოფენებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურ 1. თ. ქართველიშვილი სახელოსნოში

სტუდენტობის წლები იყო დაუღალავი შრომისა და შეუპოვარი ძიების ხანა, ხელწერა, საკუთარი სტილი თუ მანერა ადვილად არ მოდის, არის წარმატებებიც და. შეუპოვარი ძიების მიუხედავად. უკმარობის განცდაც.

აღმოჩნდა, რომ ბავშვობის წლებში მარჯანიშვილის თეატრის უნიჭიერეს კოლექტივთან მოკრძალებულ ურთიერთობებს, ოპერისა და ბალეტის თეატრში ს. ვირსალაძესთან, ი. ასკურავასთან დაუღალავ შრომას სცენოგრაფიის რთული და თავისებური უნარის შესწავლისათვის, ამაოდ არ ჩაუვლია.

თენგიზ ქართველიშვილი, ჯერ კიდევ სტუდენტი მიიწვიეს სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის სახალხო თეატრის მთავარ მხატვრად. მისი დებიუტი თეატრში წარმატებული აღმოჩნდა: სცენოგრაფიულმა ესკიზებმა ი. ვაკელის "საჭიანი კაცის" დადგმისას საყვირალისტთა და მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა.

1972 წელს სახალხო თეატრების ფესტივალზე, რომელიც მარჯანიშვილის აკადემიური თეატრის სცენაზე მიმდინარეობდა, მხატვარი ჭაჭა-ცქიმავილის "მოკვეთილით" წარსდგა.

კონკურსში მონაწილე 25 თეატრიდან "მოკვეთილმა" პირველი ადგილი დაიკავა, თენგიზ ქართველიშვილმა კი ლაურეატის წოდება და ოქროს მედალი დაიმსახურა.

მალე ახალი დადგმებით თეატრთან ერთად საკავშირო ფესტივალის ლაურეატის დიპლომსა და დიდ ოქროს მედალს იმსახურებს.

თეატრი, მისი სცენოგრაფია ახლობელი ხდება მხატვრისათვის. სამჯერ ზედიზედ – 76, 77 და 78 წლებში მონაწილეობას იღებს საქართველოს თეატრალური საზოგადოების, საქართველოს მხატვართა კავშირისა და სურათების სახელმწიფო გალერეის მიერ მოწყობილ თეატრალური მხატვრების გამოფენაში. მის მიერ წარმოდგენილ დეკორატიულ ესკიზებს პრესა დადებითად გამოეხმაურა; აღნიშნულს მოყვა თეატრთან ერთად წარმატებული გასტროლები მოსკოვში, ბალტიისპირეთში, საზღვარგარეთ. 1974 წლიდან თენგიზ ქართველიშვილი სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტის საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტის გამოყენებითი ხელოვნების კათედრის გამგეა.

ამრიგად, სცენოგრაფიის რთული გზა მხატვრისათვის ხსნილია, მაგრამ ასე არ ხდება. მიუხედავად ზოგჯერ დაეჭვებისა, მისთვის უმთავრესი გრაფიკაა, გრფიკოს-პლაკატისტის პროფესია, თუმცა თეატრალურობა, არტისტიზმი საუკეთესო გაგებით, მისი შემოქმედების მუდმივი მახასიათებელი ხდება.

თენგიზ ქართველიშვილის, როგორც გრაფიკოსის, ერთ-ერთი ღირსება ისიცაა, რომ ჩვენი დროის მიმდინარეობათა მარავალგვარობამ, მრავალწახნაგოვან თავისებურებათა ინტენსიურმა შესწავლამ მისთვის საცდუნებელ მდგომარეობაშიც ვერ დააეჭვა საკუთარ შეხედულებათა სისწორეში, საკუთარ მიზანსწრაფვაში. პირიქით, შინაგანმა ჭიდილმა მიანიჭა მის შემოქმედებას დამოუკიდებლობა და თვითმყოფადობა, პოეტურობა, თეატრალურობა, მაღალი მოქალაქეობრიობა და შემოქმედებითი ელერადობა.

1974 თენგიზ ქართველიშვილი წარმატებით ამთავრებს თბილისის სამხატვრო აკადემიის გამოყენებითი ხელოვნების ფაკულტეტს, იწყება მისი ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობა გრაფიკაში, ძირითადად პლაკატში. მართალია თენგიზ

ქართველი ხალხის შემოქმედება უაღრესად მრავალწახნაგა და მდიდარია, მაგრამ მისი ინდივიდუალურობის განმსაზღვრელი მაინც პლაკატია. პოლიტიკური იქნება იგი, თუ თემატური, თეატრალური თუ სადღესასწაულო. მხატვრის პლაკატების — ძირითად ნაწილს ნათელი ხელოვნით გასდევს პატრიოტული თემატიკა, რაც 80-იან წლებში, როცა ცენზურა ბობოქრობდა, რიცა პლაკატის ოსტატებს უკვეთავდნენ მოჩვენებითი, გრანდიოზული წარმატებების ასახვას, ეს არც ისე იოლი საქმე იყო.

თენგიზის შემოქმედებაში უფრო და უფრო ძლიერდებოდა სამოქალაქო ლერადობის ნაწარმოებები, თუმცა არც იმის თქმა შეიძლება, რომ იგი ანგარიშს არ უწევდა ოფიციოზს. სხვანაირად შეუძლებელიც იყო. თუმცა მხატვარმა მთავარი აქცენტი გადაიტანა არა მარტო იმაზე, თუ რას ეხებოდა ნაწარმოები, არამედ როგორ გადმოეცა. მის მიერ შესრულებულმა პლაკატმა "ჩილე-74" თავისი ღრმა იდეურობით, შესრულების დახვეწილი, მაღალპროფესიონალური დონით ალტაკებაში მოიყვანა საქართველოში სტუმრად მყოფი ჩილელი სახელმწიფო მოღვაწის ლუის კორვალანის ვაჟი. ახლა პლაკატის ორიგინალი ჩილეშია. იმავე პერიოდს მიეკუთვნება არაერთ გამოფენაზე აღნიშნული "გამარჯვების მახვილი". ქართული პრესა მოწონებით ხვდება კონკურსში გამარჯვებულ პლაკატს "თბილისი ჩვენი დედაქალაქია". დიდი სითბოთია შესრულებული პლაკატი მიძღვნილი ბავშვთა საერთაშორისო წლისადმი (1979) "დაე მუდამ იყოს მზე". საყურადღებოა პლაკატის კომპოზიცია და მხატვრული გამა. ოდა-სახლის ორქანობიანი სახურავის კონტურებად გამოყენებულია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების სახელმწიფო დროშები. იმავე პერიოდში წარმატება ხვდა პლაკატს "ოლიმპიადა 80" და სხვა.

მიუხედავად მნიშვნელოვანი წარმატებებისა, მხატვარს თან სდევს უკმარობის გრძნობა, მისთვის აუცილებელი ხდება გადმოსცეს პლაკატის ენით ის რაც ამ დროისათვის მოქალაქეობრივი ვალი და მოვალეობაა. გაზრდილია დამთვალიერებლის მომთხოვნელობა და გემოვნებაც, რასაც გრძნობს საბჭოთა წუხით დამძიმებულ ვითარებაში მყოფ მხატვართა მოწინავე ჯგუფი, რომლებიც ეძებენ ახალ გზებს.

1983 წელს თენგიზის მიენიჭა წლის საუკეთესო ნამუშევარით ლაურეატის წოდება, მან იცის, რომ მხატვრობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ის მძაფრი სოციალურ-პოლიტიკური ძვრები, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენ ქვეყანაში, მოძრაობა იგრძნობა ცხოვრების ყველა სფეროში.

1988 წლის 18 მაისს ქართველ გრაფიკოს პლაკატისტთა ცხოვრებაში უმნიშვნელოვანეს მოვლენას ჰქონდა ადგილი. საქართველოს მხატვართა სახლის საგამოფენო დარბაზში მხატვართა კავშირის ისტორიაში პირველად ქართველ პლაკატისტთა ჯგუფური გამოფენა მოეწყო.

სურ. 2 პლაკატი "ფრესკა"

გამოფენამ უპირველეს ყოვლისა ცხადყო, ბოლო წლებში რა სიმაღლეზე ავიდა ჩვენში ოდესღაც ნაკლებად პატივდებული სახვითი ხელოვნების ეს ჟანრი. გამოფენის ათივე მონაწილის ღირსება იყო არამარტო უდავო ნიჭი, არამედ შემოქმედებითი სიმამაცეც. მათ გაბედულად უარყვეს საბჭოთა პერიოდის პლაკატებისათვის აუცილებელი ატრიბუტები: ლოზუნგები, დროშები, მტრედები, ჯაჭვები, დაკუნთული მკლავები და წარმოადგინეს მაღალპროფესიულ დონეზე შესრულებული, ესთეტიურად გააზრებული, ჩანაფიქრის სიღრმითა და მოქალაქეობრივი პათოსით დამუხტული დროის შესაფერი ჟღერადობის ნაწარმოებები, რამაც განსაზღვრა კიდეც ქართული პლაკატის გამარჯვება.

ბუნებრივია გამოფენის მონაწილეთა შორის იყო მხატვარი თენგიზ ქართველიშვილი, რომლის შესახებ იმ დღეებში გაზეთი "ახალგაზრდა კომუნისტი" /18.06.88/ წერდა: "თავისი განსხვავებული ხელწერით გამოირჩევა თენგიზ ქართველიშვილის პლაკატები. ავტორი ცდილობს ქვესაფერს პოეტური, ლირიული ჩარგა მიუსადაგოს და მშვენიერების ძლიერი შეგრძნებით მოიტანოს მაყურებლამდე. რასაც ხელს უწყობს ქართველ პოეტთა ლექსების სტრიქონები, რომელსაც მხატვარი იყენებს".

თენგიზ ქართველიშვილის მიერ წარმოდგენილ პლაკატთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია დედობისადმი მიძღვნილი მდიდრულად შესრულებული პლაკატი. აქ ავტორმა უბრალოდ აფიშასავით კი არ გვიკარნახა სათქმელი, არამედ ოსტატურად მოიტანა მაყურებლამდე ქართული კედლის მხატვრობა, ყინწვისის ანგელოზის ფრესკა-პლაკატით, პოეტ შოთა ნიშნიანიძის სტრიქონებით-

"კედლებს ფრესკებად შეხიზნულო წმინდა დედანო,
ხვედრი თქვენებრივ ალარავის გადაეტანოს".

. პირველ ვგეუფურ გამოფენას მოყვა პლაკატის უკვე რესპუბლიკური გამოფენა /1990/, რომელზედაც წარმოდგენილი იყო ოცდათვრამეტი ავტორის ასამდე ნამუშევარი, რომელთა შორის აღსანიშნავია თენგიზ ქართველიშვილის "თბილისი 9 აპრილი 1989 წელი". შავ, შინდისფერ და მოლურჯო ფერებით მხატვარმა შეძლო წარმოედგინა ის დიდი ტრაგიზმი, რაც თბილისში დატრიალდა. მისი ემოციურობა მკვეთრი და ძლიერია, რომლითაც დატვირთულია არამარტო მთლიანად ნაწარმოები, არამედ მძლავრი მონასმით შესრულებული ტრაგიკული თარიღი, რომლის დავიწყება არ შეიძლება, იგი სამუდამოდ გვამახსოვრებს თავს. ასეთ ემოციურობამდე მისვლა ხელოვანისთვის იოლი არაროს.

აღსანიშნავია არამარტო შესრულების მხატვრული დონე, არამედ შექმნილ ნაწარმოებთა სიუხვეც. იგი სამასზე მეტი ტირაჟირებული პლაკატის ავტორია, ათობით საერთაშორისო და რესპუბლიკური გამოფენის მონაწილე, რომელთაგან ხუთი პერსონალურია.

თქმა იმისა, რომ ავტორის თითოეული ნაწარმოები თანაბარი სიძლიერისაა არ იქნება მართებული, მაგრამ ყოველ მათგანში იგრძნობა განცდა და გამოცდილი ოსტატის ხელი.

თენგიზ ქართველიშვილის შემოქმედებითი პორტრეტი სრულყოფილი არ იქნება, თუ გაკვრით მაინც არ შევეხეთ მის პეიზაჟებსა და პორტრეტებს.

მხატვრის შემოქმედებით ბიოგრაფიაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მხატვარ ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმის დარბაზებში მოწყობილი პერსონალური გამოფენა. ავტორმა მას "ძველი თბილისის მონატრება" უწოდა. გამოფენაზე წარმოდგენილი 33 ტილო ერთი წლის განმავლობაშია შექმნილი, მაგრამ მას უძლოდა მრავალწლიანი ფიქრი, განცდა. როგორც ერთ-ერთი რეცენზენტი აღნიშნავდა- -"ახვლედიანისეულ ცოცხალ ფერადოვან ტილოებთან შედარებით, თენგიზ ქართველიშვილის გრაფიკული ძველი თბილისი უფრო ძუნწია თითქოს, მაგრამ მეტყველი შტრიხებით, შტამბეჭდავი, ბევრი ფიქრისა და მოგონების ამშლელია" /თბილისი 20.08.91./. ეს იყო მისი მეხუთე და წარმატებული გამოფენა.

მართალია თენგიზ ქართველიშვილის შემოქმედება უაღრესად მრავალმხრივია და მდიდარი-თეატრი, კინო, ფერწერა, მაგრამ მისი ინდივიდუალობის განმსაზღვრელი მაინც პლაკატია. შინაგანმა ძიებებმა, შეუპოვარმა შრომამ, მიანიჭა მის შემოქმედებას დამოუკიდებლობა და თვითმყოფადობა, პოეტურობა და მაღალი პატრიოტიზმი რამაც დაუმკვიდრა ღირსეული ადგილი პლაკატის თანამედროვე ქართველ ოსტატთა შორის.

ნესტან თათარაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდერნის სტილი საქართველოს არქიტექტურაში

მოდერნის სტილის იდეურ-ფილოსოფიური საფუძვლები XIX ს-ის მეორე ნახევრიდან იღებს სათავეს. მის სამშობლოდ ითვლება დიდი ბრიტანეთი, თუმცა განვითარება უმეტესად ევროპის სხვა ქვეყნებში ჰპოვა. გარდა არქიტექტურის, ხელოვნებისა და გამოყენებითი ხელოვნების თითქმის ყველა სფეროსი, მოდერნმა მოიცვა მსუბუქი მრეწველობის ბევრი დარგი, საგამომცემლო საქმიანობა, სათავე დაუდო დიზაინის შექმნას. სტილი სხვადასხვა სახელი გავრცელდა: რუსეთსა და ჩვენში დამკვიდრდა ტერმინი-"მოდერნი", ბელგიაში-"არ ნუვო", ავსტრიაში--"სეცესსიონ", გერმანიაში-"იუგენდშტილი", იტალიაში-"ლიბერტი", ესპანეთში--"მოდერნისიმო". ამჟამად საერთაშორისო სპეციალისტების შეთანხმებით მიღებულია სტილის აღნიშვნა სახელით-"არ ნუვო" (Art Nouveau).

სწრაფი გავრცელებისა და უდიდესი პოპულარობის მიუხედავად, მოდერნმა ხელოვნების სტილისათვის უჩვეულოდ მოკლე ხანს იარსება, მაგრამ შექმნილი ორიგინალური და ემოციური ნიმუშების წყალობით, ნებისმიერი ქვეყნის კულტურულ მემკვიდრეობაში საამაყო მოვლენად იქცა. სამწუხაროდ საქართველოში არსებული მოდერნის არქიტექტურა შესწავლილი არ არის, შესაბამისად მისი ძეგლები გამოუვლენელი და შეუფასებელია. სრულიად უცნობია, რომ XX ს-ის დასაწყისში, რუსეთის იმპერიის შორეულ კოლონიაში, საქართველოში, აიგო მოდერნის სტილის შესანიშნავი ნაგებობები, რომლებიც სამართლიანად იმსახურებენ თავიანთ კუთვნილ ადგილს არქიტექტურის ისტორიაში.

"მოდერნის", ანუ "არ ნუვოს" (ვეცადოთ დავამკვიდროთ საერთაშორისო ტერმინიც) არსებობა საქართველოში ადასტურებს ჩვენს ისტორიულ სწრაფვას ევროპისა და ევროპული კულტურისაკენ, რაც იმ პერიოდში ეს თავისთავად თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვას ნიშნავდა. ეს კარგად აისახა უნგრეთში არსებულ მოდერნის არქიტექტურაში, როცა, მიუხედავად სტილის

ინტერნაციონალურობისა. გამოყენებული იქნა ფოლკლორული მოტივები. მოდერნმა საქართველოშიც შეიძინა გარკვეული ტრადიციული ნიშნები. ერთ-ერთი მათგანია საცხოვრებელი სახლების უკანა ფასადებზე ტრადიციული ხის ივნების გაჩენა, ოღონდ ამჯერად, ივნები შესრულებულია მოდერნის დეკორაციით.

მოდერნის სტილის შემორჩენილი ძეგლებით ვრწმუნდებით, რომ იგი თანაბრად პოპულარული და სასურველი იყო საქართველოს საზოგადოების ყველა ფენისათვის დიდ თუ პატარა ქალაქებში: თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, სოხუმში, გაგრაში, დუშეთში, სადაც შენდებოდა-ბანკები, საცხოვრებელი თუ საშემოსავლო სახლები, თეატრები, მაღაზიები, სახელოსნოები, კინოთეატრები, საავადმყოფოები, სასწავლებლები. გარდა ამისა, ძალზე საინტერესოა სასაფლაოებზე მოდერნის სტილში შესრულებული მემორიალური ძეგლები. თბილისის ისტორიულ უბნებში გვხვდება XIX ს-ის შენობების მოდერნული რეკონსტრუქციები. ხშირია ეკლექტიკური ფასადის მქონე ნაგებობებში მოდერნული ივნების, კარების, კიბის ელემენტების, თუ სხვა დეტალების არსებობა ან ინტერიერის მთლიანად მოდერნით გაფორმება.

სამწუხაროდ დავკარგეთ ბევრი კარგი შენობა თუ ცალკეული ფრაგმენტი. მაშინ, როცა მსოფლიოს მასშტაბით ამ სტილით დაინტერესება თანდათან უფრო ინტენსიური ხდება, ჩვენთან მისი მნიშვნელობა ხშირად პროფესიონალებსაც არა აქვთ შეგნებული. მაგალითად, თბილისში აღარ არსებობს ერთ-ერთი მშვენიერი მოდერნის ძეგლი მდებარე თავისუფლების მოედანი №4ა, რომელიც 1991-1992 წწ. მოვლენების დროს დაიწვა, შემდეგ კი მთლიანად დაანგრიეს. მისი აღდგენა, მიუხედავად ფოტოების და ანაზომების არსებობისა, შესაბამისმა ორგანიზაციებმა და სპეციალისტებმა საჭიროდ არ მიიჩნიეს[1], ხოლო მეორე ძეგლს (გ. ლეონიძის ქ. №3, სადაც ამჟამად ეროვნული ბანკია განთავსებული), რამოდენიმეჯერ ჩატარებული ფუნდამენტური რეკონსტრუქციის "წყალობით", თავდაპირველი ელემენტების მხოლოდ მცირე ნაწილი შემორჩა როგორც ფასადზე, ასევე ინტერიერშიც. საგანგაშოა, რომ მისი, როგორც ძეგლის განადგურება ამჟამადაც გრძელდება, მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე სამუშაოები არქიტექტორ-რესტავრატორთა მონაწილეობით[!] ხორციელდება. ამ უბედურების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი მოდერნის სტილის შეუსწავლელობა და საზოგადოების გაუთვითცნობიერებაა, პროფესიონალთა უპასუხისმგებლობაზე და მათი მომზადების დაბალ დონეზე რომ აღარაფერი ვთქვათ. მოდერნის არქიტექტურული

ძეგლები საჭიროებენ სრულ გამოკვლევას საქართველოს ყველა ქალაქში, აღრიცხვას, სამეცნიერო კვლევასა და ფართო პოპულარიზაციას. ამ მიმართებით პირველი სერიოზული სამუშაოს ჩატარება შესაძლებელი გახდა 1997 წელს ფონდის "ღია საზოგადოება-საქართველოს" დახმარებით[2]. ქ. პრაღაში სამეცნიერო დახმარების სქემის (RSS) კონკურსში გამარჯვებამ, კი 1998 წელს, საშუალება მოგვცა ჩავატაროთ საარქივო-კვლევითი სამუშაოები (აღსანიშნავია რომ დასახელებული ორივე ორგანიზაციის დაფინანსება წარმოებს მეკვნატ ჯორჯ სოროსის მიერ).

სათანადო ფონდებისა და ორგანიზაციების დახმარებით თუ შევძლებთ თავი მოვუყაროთ ორმოცამდე ძეგლის ამსახველ სპეციალურ დოკუმენტაციას და წარვადგინოთ ბრუსელში, ვიქტორ ჰორტას მუზეუმში, სადაც იქმნება მსოფლიოში არსებული მოდერნის არქიტექტურის მონაცემთა ბანკი. ამით საერთაშორისო ასპარეზზე გავიტანთ ჩვენი კულტურის დღემდე უცნობ ნაწილს, უნიკალური ევროპული სტილის-მოდერნის ქართულ იმპროვიზაციას არქიტექტურაში, რაც მომავალში ბევრად გაგვიადვილებს ამ ძეგლების დაცვისა და შენარჩუნებისათვის რეალური ღონისძიებების განხორციელებას.

1. ჟურნალი "ეპოქა" №5, გვ. 24, 1998 წ.
2. ფონდი "ღია საზოგადოება-საქართველოს" საანგარიშო კრებული, გვ. 68, 1997 წ.

DZEGLIS MEGOBARI

Scientific-Popular Journal

Abstract

George Gvinchidze

To The Origin of the Name of Tsikhisdziri Fortified City

Based on the analysis the author concludes that the name of the fortified city Tsikhisdziri (Kobuleti district) is derived from "tsikhe dziri", which means "main fortress", being a translation of the toponyme "jikhan kviji" of Zan (Megrelian) origin.

David Lomitashvili

To the Study of One Group of 6th-5th CC.BC Ceramic Objects

Vessels with holes discovered in small numbers in the cultural layer dating to the 6th-5th CC. BC in Nokalakevi city-site are generally considered to be sieves. One part of scholars support the viewpoint on their belonging to kitchen utensils, while others connect them with the ritual objects. Taking technological aspects into account, the author proposes typological differentiation of these vessels as kitchen utensils and ritual objects. As for their chronology, these two types do co-exist chronologically.

Besik Lordkipanidze

Nokalakevi Churches and the Existence of an Episcopal See in Archeopolis

Six churches dating to the 4th-6th cc are revealed in Archeopolis, capital of Egrisi Kingdom, being indicative of the existence of a powerful ecclesiastic centre. However, Byzantine sources give no indication on the existence of an episcopal see in the site.

The author gives a proposition that this might have been preconditioned by the policy of Lazika Kings, who had no desire to have nearly persons promoting interests of Byzantium.

Naira Japaridze

George Saakadze's Sword in State Museum of Fine Arts of Georgia

Tbilisi State Museum of Fine Arts shelter quite interesting exhibits Persian inscriptions on which were read by the author.

The author thinks that a sword bearing an inscription "George master of Tbilisi" used to belong to the famous 17th c general George Saakadze.

Nestan Tatarashvili

Art Nuveau Style in Georgian Architecture

The article deals with the Art Nuveau monuments, which are still left unstudied. Thanks to the support of the organizations – OSGF and RSS – financed by G. Soros, serious works in this direction were undertaken. The author expresses her hope that in case of proper assistance it would be possible to collect exhaustive material, which will be send to Brussels, data base of W. Horta Museum.

This will enable us to give international recognition to the problem of saving Georgian samples of Art Nuveau style.

სარჩევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვულოცავთ
ირაკლი ცისკიშვილი – 80 წლისაა 3

გიორგი გვინჩიძე
ციხისძირის ციხე-ქალაქის სახელწოდების წარმოშავლობისათვის 6

დავით ლომიტაშვილი
ძვ. წ. VI–V სს. კერამიკულ ნაკეთობათა ერთი ჯგუფის
შესწავლისათვის (საწურები ნოქალაქევის ნაქალაქარიდან 9

ბესიკ ლორთქიფანიძე
ნოქალაქევის ეკლესიები და საეპისკოპოსო კათედრის არსებობის
საკითხისათვის არქეოლოგიის მიხედვით 14

ვალერიან ზუხბაია
რა ქვებით შენდებოდა საქართველო 20

ნაირა ჯაფარიძე
გიორგი საკაძის ხმალი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო
მუზეუმიდან 36

ირაკლი ზაქარიაშვილი
თენგიზ ქართველიშვილი–მხატვარი გრაფიკოსი 43

ნესტან თათარაშვილი
მოდერნის სტილი საქართველოს არქიტექტურაში 50

ანოტაციები ინგლისურად 53

თბილისი, შავთელის 5/7
ტელ. 98 36 31
ფაქსი 98 96 58